პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
ს. ს. საქ. მ., გ., წ. არ. და მაჭრ.
დეპ. საბ.
მთავარი ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14-76, მდივნის 10-58.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 10-49.
ხელის მოწერის ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მუშაოფისათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ხურვილის... ...

№ 285 | სამშაბათი, 11 დეკემბერი 1923 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. | № 285

დღიური

ხაზინადრეთში მოწვეულმა ვენიზელოსმა ... ბერძნეთში დაბრუნებაზე.

მექსიკაში მთავრობის წინააღმდეგ ... იტალიიდან დაბრუნებულმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. იორდანსკიმ განაცხადა, რომ იტალია ფაქტიურ ხაზში იცნობს იურიდიულად საბჭოთა კავშირს.

ახლო ხ ნში დაიწყება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის და რუმინეთს შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს.

დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ცაკის მდივანი შ. ხაზუმელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა
პარასკევს 14 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დაისვას საკითხი:

„პარტიის ახალი ამოცანების შესახებ“

მასალად გამოიყენონ: ამხ. ზინოვიევის წერილები, ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებები და პეტროგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლიუციები, რომლებსაც მიიღებენ რაიკომებში.

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტი წინადადებას იძლევა ყოველმხრივ იქნას განხილული აღნიშნული მასალები და ახალი კონკრეტიული წინადადებანი გადაეცეს სათანადო რაიკომს.

ტფ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

კონსერვატორების დამარცხება ინგლისში

მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორთა პარტია, როგორც მთავრობის პარტია, არჩევნებში გამარჯვებისათვის, სხვა საშუალებებთან ერთად, ცხადია, სავსებით გამოიყენებდა მის განკარგულებაში მყოფ სამთავრობო აპარატს,—ის დღევანდელი საპარლამენტო არჩევნებიდან დამარცხებული გამოვიდა.

წინედ მას ყავდა თემთა პალატაში 346 დეპუტატი, 70 კაცით მეტი, ვინემ ყველა დანარჩენ პარტიებს.

ახალ პალატაში არჩეულია 252 კონსერვატორი. ხმები არ არის დათვლილი 8 საარჩევნო ოლქში. თუნდაც რომ ამ ოლქებმა გაგზავნონ მარტო კონსერვატორები (რაც საეჭვოა), ამ შემთხვევაშიც კონსერვატორებს ეყოლებათ 85 კაცით ნაკლები დანარჩენ პარტიებზე.

კონსერვატორების ხარჯზე გაძლიერდნენ: მუშათა პარტია (გაიყვანა 195 დეპუტატი წინანდელ 145 მაგივრად) და ლიბერალები (მიიღეს 149 მანდატი 117 მაგივრად).

ამგვარად, კონსერვატორებმა მნიშვნელოვანი მარცხი განიცადეს. მათ დაჰკარგეს აბსოლიუტური უმრავლესობა, რომ შეადგინონ დამოუკიდებლად კაბინეტი და თავიანთი ნებისყოფა მოახვიონ თავზე პარლამენტს.

რამ გამოიწვია კონსერვატორების ასეთი კრახი?

ამის ერთი მთავარი მიზეზია მათი პროტექციონისტული პოლიტიკა. მათი ამოცანას შეადგენდა ინგლისის სამეურნეო ორგანიზმის შექმნა, რომელიც დანარჩენი მსოფლიოდან დაცული იქნებოდა ტარიფების მაღალი კედლებით. ეს პოლიტიკა აიხსნება იმ გარემოებით, რომ კონსერვატორებმა ვერ შესძლეს ქვეყნის ეკონომიური განვითარება უცხო ქვეყნებთან თავისუფალი კონკურენციის გზით და მოიწადინეს ამ მიზნის მიღწევა ხელოვნური ზომებით. ეს ნიშნავს კონსერვატორების სამეურნეო და სავაჭრო-მიცემო პოლიტიკის სრულ გაკოტრებას.

პროტექციონიზმი ეწინააღმდეგება ინგლისის არა მარტო თავისუფალ ვაჭრობის ძველისძველ ტრადიციას, არამედ ის საგრძნობლად ლახავს ამ ქვეყნის ზოგიერთი შეძლებული წრეების ნივთიერ ინტერესებსაც, იმ წრეების, რომელთაც თავისუფალი ვაჭრობა საკმაო სარგებლობას აძლევს. მათ რიცხვში აღმოჩნდა არა მარტო ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ თვით კონსერვატორთა ზოგიერთი ჯგუფებიც.

კონსერვატორების პოლიტიკის წყალობით, გაღრმავდა მრეწველობის კრიზისი, იმატა უმუშევრობამ და სხ.

ყველაფერ ამან გავლენა მოახდინა ინგლისის ამომრჩეველთა დიდ ნაწილზე და დასცა კონსერვატორების პრესტიჟი.

კონსერვატორების გავლენა არანაკლებ დასცა მათმა საერთაშორისო პოლიტიკამ. აქ პირველ რიგში დგანან საკითხები რურის ოკუპაციის და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების.

რურის საკითხში ბალდვინის კაბინეტმა ქედი მოიხარა პუანკარეს წინაშე, რომელმაც ამით ინგლის ხელიდან გამოგლიჯა საერთაშორისო პოლიტიკის დირიჟორის ჯოხი. საფრანგეთის გაძლიერება გერმანიის ხარჯზე და უკანასკნელის განადგურება დიდ საფრთხეს უმზადებს ინგლისის მსოფლიო ბატონობას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მიმართ კონსერვატორების პოზიციას, ის აშკარად საზიანოა თვითონ ინგლისისათვის. კონსერვატორები წინააღმდეგი არიან საბჭოთა ხელისუფლების ცნობის და მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის. ასეთი პოზიცია უფრო აღრმავებს ინგლისის მრეწველობის კრიზისს, ზრდის უმუშევრობას და სხ.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ინგლისის ამომრჩეველთა უმრავლესობამ დაგმო ბალდვინის საერთაშორისო პოლიტიკაც.

რანაირი მდგომარეობა შეიქნება კონსერვატორების დამარცხების შემდეგ? როგორი მთავრობა შესდგება ინგლისში? ამაზე ბევრი ხმებია გავრცელებული. ლაპარაკობენ კონსერვატორების და ლიბერალების კოალიციაზე ან უკანასკნელთა და მუშათა პარტიის შესაძლებელ შეთანხმებაზე და სხვა კომბინაციებზე. საქმე ახლო მომავალ დღეებში გამოირკვევა.

მხოლოდ ერთი რამ ცხადია ამ თავითვე. ინგლისის საზოგადოებაში მოხდა ერთგვარი გარდატეხა მარცხნივ. არჩევნების შედეგებს ექნებათ დიდი მნიშვნელობა როგორც ინგლისის შინაურ ცხოვრებაზე, აგრეთვე საერთაშორისო ძალთა გადაჯგუფებაზე.

კერძოდ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში მოსალოდნელია საგრძნობი ცვლილებები. ინგლისის არა მარტო მუშათა კლასი, არამედ საქმიანი ბურჟუაზიული წრეებიც ბოლოს და ბოლოს რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცნობა და მასთან სავაჭრო-მიცემო ურთიერთობის აღდგენა აუცილებელი არის თვით ინგლისის გონივრულად გაგებულ ინტერესების თვალსაზრისით.

ამ შეგნებას უნდა მოყვეს რეალური შედეგები.

სხვათა შორის, ამ მხრითაც საგულისხმოა კონსერვატორების დამარცხება.

რა არის საქონლის მანეთი?

ერთ ერთ მთავარ საკითხს საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეადგენდა და შეადგენს ეხლაც მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელფასის მტკიცე ნიადაგზე დაყენებით. ყველასათვის ცხადია, რომ ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტი არ იყო და არც არის. არ იყო იმიტომ, რომ იმ დროს, როდესაც მოუხდა ხელისუფლებას მუშაობა, ისეთი არეულ-დარეული იყო საქმეები ამ დარგში, რომ მისი მოგვარება საჩქაროთ ყოვლად შეუძლებელი იყო, მიუხედავათ კეთილ სურვილებისა, რადგან ეს დამოკიდებული იყო და არის არა მარტო კეთილ სურვილებზე, არამედ უფრო სხვა მიზეზებზედ. შრომის ხელფასი გაუმჯობესდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ზურგში გამაგრდება ეკონომიურად, გაუმჯობესდება წარმოება-მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა და სხვა. მაშინ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

თუ გადავავლებთ ცოტაოდენ თვალს. მიუბრუნდეთ და შევადარებთ პირველ ხანებს ეხლანდელს, ე. ი. 1921—1923 წლებს, ჩვენ დავინახავთ დიდს გაუმჯობესებას და წინსვლას ამ მხრივ. ვის არახსოვს პირველი წელი საქართველოს გასაბჭოებისა, როდესაც ყველა თითქმის მუქთად მუშაობდა. ეხლა კი ცოტათ თუ ბევრათ ყველანი დაკმაყოფილებულნი არიან.

რომ მუშა-მოსამსახურეთ მიეღოთ რეალური ხელფასი შედარებით იმ დროისა, რასაც ღებულობდენ ომის დაწყებამდე, ჩვენმა მთავრობამ შემოიღო საქონლის მანეთი.

რა არის საქონლის მანეთი?

უკვე წელიწადია, რაც საქართველოში ხელფასის გაცემა ხდება საქონლის მანეთით და ბევრმა არც კი იცის, რა არის იგი.

როგორც ზევითა ვსთქვით, მუშებს რომ იმ რაოდენობის ხელფასი მიეღოთ, რაც მათთვის აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენდა და ამ ხელფასს მუდამ თავისი ნამდვილი ღირებულება ჰქონოდა—აღებულ იქნა საქონლის მანეთის გამოანგარიშებისათვის 24 უპირველესი საგნები და სურსათი. ყველა საგნების რაოდენობა აღებულია იმდენი, რამდენსაც ომამდე იყიდდით ათ მანეთად. ეს საგნები რაოდენობით შემდეგია:

1. პურის ფქვილი ადგილობრივი 40 გირ., 2. პურის ფქვილი თეთრი 20 გირ., 3. ბრინჯი 4,5 გირ., 4 კარტოფილი 40 გირ., 5. კომბოსტო 9 გირ., 6. ქარხალი 4,5 გირ., 7. ხახვი 1 გირ., 8. ხორცი 7,5 გირ., 9. ერბო 1 გირ., 10. საჭმელი ზეთი 1 გ., 11. რძე 12 ბოთლი, 12. კვერცხი 6 ცალი, 13. ყველი 1 გ., 14. მარილი 2 გ., 15. შაქარი ნატეხი 2 გ., 16. ნავთი 6 გ., 17. საპონი ადგილობრივი 0,75 გ., 18. ჩექმები უბრალო 0,06 ც., 19. თამბაქო მე-2 ხარისხის 0,2 გ., 20. ჩითი 2 არშინი, 21. ტილო 0,6 არშ., 22. მაუდი 0,15 არშ. 23. წუმწუმა 8 კოლოფი, 24. შეშა 0,015 საჟენი.

როდესაც საჭიროა საქონლის მანეთის გამოანგარიშება, რამდენიმე უწყების აგენტები, სახელდობრ: შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ ბიუროსი, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი და ტფილისის აღმასრულებელ სტატისტიკურ განყოფილებისა, კრებენ ცნობებს ქალაქის ყველა ბაზრებზე ზემოხსენებულ საგნების ფასებისას და თავიანთი დასკვნით აგზავნიან შრ. სახ. კომის. სტატისტიკურ ბიუროში, რომელიც უკეთებს საერთო დასკვნას ფასებისას, გამოყავს ჯამი და უდგენს განსაზღვრულ დროის შრ. სახ. კომ—თან არსებულს, საგანგებო კომისიას საქონლის მანეთის ღირებულების მისაღებათ და გამოსაქვეყნებლად.

კომისია რომელიც შესდგება შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: (გადამწყვეტი ხმის უფლებით) შრ. სახ. კომ. საქართველოს პროფკავშირის, ა. კ. ფინანსთა სახ. კომ. რწმუნებულისა საქართველოში და უმაღლეს სამეურნეო საბჭოსი და (სათათბიროთი) ტფილისის აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი და შრ. სახ. კომ. სტატისტიკურ ბიუროსი,—ეს კომისია თანახმად წარმოდგენილ პროდუქტთა ღირებულებისა და აგრეთვე თავისი პირადი შეხედულებით იღებს მათ ღირებულებას ან უცვლელად, ან შეაქვს რაიმე ცვლილება, ამტკიცებს და შემდეგ მას აქვეყნებს შრომ. სახალხო კომისარი.

პროდუქტთა ღირებულება ცხადდება, როგორც ზევითა ვსთქვი, ათი მანეთის მიხედვით და საქონლის მანეთიც მის მეათედად. მაგალითად 22 ნოემბერს ზემოთ მოყვანილი პროდუქტთა ღირებულება იყო 287.072000 მან. ა. კავკ. ფულის ნიშნით საქონლის მანეთიდ უდრიდა (287.072000:10) 28.707.000 მანეთი (ანგარიშის გასაადვილებლად 5.000 მანეთამდის აკლდება საერთო რიცხვს და მას ზემოთ ემატება). აი ეს არის საქონლის მანეთი, რომელიც ყოველთვის როგორადაც არ უნდა შეიცვალოს საქონლის ფასები, წარმოადგენს ნამდვილს ღირებულებას აღნიშნულ საგნებისას. სწორედ ამისათვისაც არის იგი შემოღებული, რომ ხელფასი შეეფარდებოდეს ბაზრის ფასებს.

როგორც საქონლის ფასები იცვლება, იცვლება აგრეთვე საქონლის მანეთის ღირებულებაც.

საქონლის მანეთი ცხადდება თვეში ოთხჯერ: კვირაში ერთხელ, ე. ი. ყოველთვის 1, 8, 15, 22-ში. ამ რიცხვებში, აგენტები კრებენ ცნობებს, მეორე დღეს კომისია იმუშავებს მას და მესამე დღეს. ე. ი. 3, 10, 17 და 24-ში აქვეყნებს მას შრ. სახ. კომისარი.

საქონლის მანეთი სავალდებულოა ყველასათვის, როგორც სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე კერძო პირთათვის და სამეურნეო მყოფ ანგარიშზე მყოფ წარმოებათათვის.

ხელფასის გაცემა ბევრგან პატარა წარმოებებში ხდება ოთხჯერ თვეში საქონლის მანეთის მიხედვით, მოზრდილ წარმოებებში და სამეურნეო ხარჯზე მყოფ დაწესებულებებში ჰჯერ სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე იმყოფებიან, იღებდნენ 1-ლ ნოემბრამდე თვეში ერთი კურსით, რომელიც ცხადდებოდა მათთვის განსაკუთრებით ეხლა ესენი გადავიდენ ჩვეულებრივ მანეთის ანგარიშზე. ამაზე შემდეგ.

შინაური.

წერილები ბერლინიდან

სურათები გერმანიის ცხოვრებიდან

31 ოქტომბერს ბერლინელები ერთ გირვანქა ძეხვში იხდიდენ 64 მილიარდს, როდესაც დოლარის კურსი უდრიდა 65 მილიარდს. ამავე კვირაში ბერლინის ქალაქის თავმა ქალაქის საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ბერლინში ირიცხება 300,000-ზე მეტი მუშა-უმუშევარი. ქ-ნ ვეილის მოხსენებაში ლაპარაკია იმ ტანჯვავაებაზე, რომელსაც განიცდის 12,000 ობოლი ბავში, რომლებიც მოთავსებული არიან ქალაქის თავშესაფრებში; თავშესაფრები იტევენ მხოლოდ 4,000 ბავშვს. ერთ საწოლში ხშირად ათავსებენ სამამდე ბავშვს.

მე შემხვდა ექიმი, რომელიც წამლობდა ღარიბებს და კერძოთ ერთს იმათგანს, რომლებიც რამოდენიმე თვის წინად იძულებული იყვნენ გამოეცხადებიათ გაფიცვა იმისათვის, რომ საავადმყოფო კასიდან მიეღოთ მათი ხვედრი უმნიშვნელო ჯამაგირი. „შემოდგომის დასაწყისიდანვე, მეუბნება ის, უეცრად იწყებს გავრცელებას ავადმყოფობა სიმშილობის ნიადაგზე. სიყვითლე ძუძუმწოვარა ბავშვებს შორის საყოველთაო მოვლენაა მუშათა უბნებში.“

წყალმანკის შემთხვევები სულ უფრო და უფრო ხშირდება. ჩვენ ვამჩნევთ, რომ ჯვიბრუნდება ომის დროინდელი „სიმშილობის ავადმყოფობა“ უფრო საშინელი სახით; ამ ავადმყოფობის გამო ადამიანის კანი სივდება, ფითრდება, ჰკარგავს ელასტიურობას; ძვლების ავადმყოფობა, სხვადასხვა გვარი ჭლექი ფართო ნიადაგს პოულობს დასუსტებულ და ღონე მიხდილ ორგანიზმში. დააკვირდით თქვენ ხალხის პირისახის ფერს ახლოდან, თუნდაც სილესის სადგურიდან? საკვების სიმცირე, ცხიმის, შაქრის, ხორცის უქონლობა—ყველაფერი ეს ყოველგვარ ჯანს აცლის ადამიანის ორგანიზმს, რომლის შრომის უნარიანობა სავსებით ეცემა. თქვენ გიკვირთ, რომ ამ ხალხში ნელი ტემპით ღვივდება რევოლიუციონური შეგნება? არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ სიმშილობის გამო გამოფიტულია ამ ხალხში სასიცოცხლო ენერგია“.

„თქვენ იცით რა ხდება სკოლებში? სახელდახელო ანკეტამ, რომელიც მოხდა 27 ოქტომბერს ბერლინის 9 სასკოლო ოლქში, გამოარკვია, რომ სკოლებში გამოცხადებულიყო 470 ბავშვი, რომელთაც მთელი დღის განმავლობაში არაფერი ეჭამათ! მშობლები ასე აფრთხილებენ ჩვეულებრივად მასწავლებლებს: ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბავშვი თავს ცუდათ იგრძნობს, მოეპყარით მის ლმობიერათ—ის მშიერია...“

... ჩვენ ვუახლოვდებით ალექსანდრეპლაცს, სადაც ყველაზე უფრო მეტი ხალხი იყრის თავს,—პარიზში მას შეედრება მხოლოდ რესპუბლიკის მოედანი—და ვხედავთ დაუსრულებელ რიგს მოხუცებულების და ყველა ჰასაკის ხალხის. „აი, შეხედეთ, ისინი უცდიან უმნიშვნელო საკვებს, რომელსაც არიგებს ქალაქი“.

...მე ათ მილიარდათ ვიყიდე გაზეთი და ვნახე შიგ ფასების ახალი ნუსხა: რძე—21 მილიარდი ერთი ლიტრა; წყალი და გაზი—21 მილიარდი ერთი კუბიკური მეტრი; ტრამვაი—10 მილიარდი; 4 გირვანქიანი პური—25 მილიარდი...

მაგრამ ამავე გაზეთში ამოვიკითხე მე, რომ „ჰუგო სტინესის ქონება ჯერ კიდევ ომამდე უდრიდა 100 მილიონ ოქროს მარკას; მაგრამ, როგორც ყველა მსხვილ მრეწველს, მას შეეძლო რამოდენიმეჯერ გაედიდებია ეს ქონება ომის დროს. „Montan“-ის და ელექტრონის ქარხნები, რომელთა აქციების უმეტესობა ეკუთვნის სტინესს, მისი მუშების საამშენებლო წარმოებები, მისი ნახშირის სავაჭრო ფირმა მიულჰეიმში, მისი ტრანსატლანტიის გემების საამშენებლო წარმოება ჰამბურგში—თვითეული ცალკე აღებული ღირს ასეული მილიონ ოქროს მარკა. ამას მიუმატეთ მისი მონაწილეობა უცხოეთის საქმეებში, მაღაროებში, ნავთის სამრეწველოებში, ბანკებში, ნაოსნობაში; მისი სხვადასხვა მამულები თვით გერმანიაში: გაზეთები, სტამბები, ქაღალდის ფაბრიკები, ტყეები, უძრავი ქონება, რაც საერთოდ უთვალავ ქონებას შეადგენს, ყოველ შემთხვევაში უდრის რამოდენიმე მილიარდ ოქროს მარკას, ხოლო მისი გამოანგარიშება ქაღალდის მარკებში შეიძლება მხოლოდ ასტრონომიული ციფრებით. მხოლოდ მომავალი თაობა შეაფასებს მის ფინანსიურ ძლიერებას, რომელიც გაცილებით სჭარბობს მორგანების, როკფელერების, სესილების, როდოვების, გარიმინები, კარნეჯების, როტშილდების და ვანდერბილდების ფინანსიურ შეძლებას, აღწევს საზღაპრო რაოდენობამდე და იძლევა რაღაც მითიურ შთაბეჭდილებას...“

ოლდენბურგის და დორტმუნდის ოლქის წლიურ ჟურნალიდან ამოღებული ციტატა, რომელიც მოჰყავს „ფოსიშე ცეიტუნგს“ 4 ნოემბრის ნომერში.

დაღუპვა ხალხის, დაღუპვა წთელი კულტურის—აი მისი დაუშრეტელი წყარო გამდიდრებისათვის!

რ. ალბერტ.

ბერლინი, 10 ნოემბ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

ეროვნული სირცხვილის მთავრობა „მუშაობს“

მთელ გერმანიაში გაიმართა კომუნისტური დემონსტრაციები.

გადადგენ საქსონიის და ტიურინგიის მთავრობები.

„გაფართოებულ უფლებებიანი“ მთავრობა: რეიხსტაგმა ხმის დიდი უმრავლესობით მთავრობას მიანიჭა გაფართოებული უფლებები.

ზოგიერთ სოციალ-დემოკრატებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა მთავრობის „გაფართოებულ უფლებებს“.

კონსტიტუციის „გარანტიები“: რეიხსტაგის იურიდიული კომისია მომხრეა დეპუტატთა ხელშეუხებლობის გაუქმების.

პოლიციის „ბეჯითობა“; პოლიცია განაგრძობს კომუნისტების დევნას; კომფრაქციის ბინა რეიხსტაგში დაკავებულია პოლიციის მიერ.

კომუნისტური დემონსტრაციები

ბერლინში

ბერლინი. 8 დეკემბერი. პარასკევს კომპარტიის მოწოდებით, ათეულ ათასობით მუშებმა მოაწყვეს მთელს ქალაქში დემონსტრაციები, რომელთაც ერეკებოდა პოლიცია. ლიუსგარტენი, სადაც თავი მოიყარა 10,000 მუშამ, გარშემორტყმულია ცხენოსანი და ქვეითი პოლიციით და ჯავშნოსნებით. ცხენოსანი პოლიცია ერეკებოდა დემონსტრანტებს მათრახებით და ხმლებით, ახევე განეურდა მიტინგებს—ჯგალაცხოდა. ქალაქის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილიდან ცენტრისაკენ მჭიდროდ მიმავალ მუშათა რიგებს ხშირად ერეკებოდენ პოლიციელები. დემონსტრაციები გაგრძელდა 8 საათი. მოხდა მასიური დაპატიმრება.

პროვინციაში.

ბერლინი. 8 დეკ. გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა კომუნისტური დემონსტრაციები, ბერლინის გაზეთების მიხედვით. კენიგსბერგში პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები; მოხდა მრავალ რიცხოვანი დაპატიმრებანი. საქსონიაში ყოველგან გაიმართა ფართო დემონსტრაციები. ფრეიტალში უმუშევრებმა, მიუხედავათ აკრძალვისა გამართეს დემონსტრაციები და შევიდენ საპოლიციო უბნებში, სადაც ჩაამტვრიეს ფანჯრები, გადასჭრეს ტელეფონი და ხელთ იგდეს მრავალი იარაღი. სროლის დროს მძიმედ დაიჭრა პოლიციის ინსპექტორი. დემონსტრანტები გაემართენ ციხისაკენ, სადაც განთავისუფლეს რამოდენიმე პოლიტიკური პატიმარი. დრეზდენიდან გამოწვეულ იქნა პოლიცია, რომელმაც აღადგინა წესრიგი. დრეზდენშიაც მოხდა შეტაკება პოლიციასა და უმუშევრებს შორის.

ბერლინი. 8 დეკემბერი. დამატებითი ცნობების მიხედვით, 6 დეკემბერს გაიმართა კომუნისტური დემონსტრაციები ტილზიტში (აღმოსავლეთ-პრუსია) და ვიურტემბერგის მრავალ ქალაქში. ტილზიტში პოლიციამ იხმარა იარაღი; მოხდა მრავალი დაპატიმრება. ესლინგენში ბრბომ ქვები დაუშინა პოლიციას. პოლიციამ ასტეხა სროლა. მოკლულია ერთი მუშა, დაჭრილია მრავალი.

დემონსტრაციები კარგად ჩატარდა.

ბერლინი. 8 დეკემბერი. კომპარტიამ ჩინებულად ჩაატარა დემონსტრაციები დრეზდენში, პირნში, ბრესლაუში, კელნში, მიუნხენში და გლადბახში.

პოლიცია ბერლინის ქალაქის თვითმმართველობაში.

ბერლინი. 8 დეკემბერი. პოლიციის მიერ ბერლინის ქალაქის თვითმმართველობის დაკავების გამო, კომუნისტი დეპუტ. ხმოსანთა კრებაზე მოითხოვდა პოლიციის გაძევებას. მაგისტრატის წარმომადგენელმა უარჰყო ეს წინადადება და მიუთითა მიმდინარე დემონსტრაციებზე.

რომ სექტმა გამოსცა ბრძანება კომპარტიის ც. კ-ის და ბერლინის კომიტეტის წევრთა დაპატიმრების შესახებ. კომუნისტურ დეპუტატებისათვის განზრახულია, აგრეთვე, ხელშეუხებლობის უფლების გაუქმება.

მუშათა პურის დღენა.

ბერლინი. 8 დეკემბერი. ბერლინის ხმოსანთა კრებაზე კომუნისტებმა შეიტანეს შეკითხვა მუშათა პურის დევნის გამო და მოითხოვეს „როტე ფანე“-ს აკრძალვის გაუქმება. დერგი სასტიკად ილაშქრებოდა სექტის განკარგულების, სოციალ-დემოკრატების და „ფორვერტს“-ის წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელი ამართლებენ ხელისუფლების მოქმედებას. სოციალ-დემოკრატმა შლეგელმა მოინდომა სიტყვის წარმოთქმა თავისი პარტიის სახელით, მაგრამ სიტყვა ვერ დაამთავრა კომუნისტების მიერ ატეხილი ხმაურობის გამო.

პოლიციის ცნობების მიხედვით.

ბერლინი. 8 დეკემბერი. პოლიცია იტყობინება, რომ აღმოჩენილია იარაღების საიდუმლო საწყობი, რომელიც ეკუთვნის კომუნისტებს. გამოძიებამ, თითქოს, გამოარკვია, რომ საწყობში ინახებოდა ასაფეთქებელი ნივთები და მზადდებოდა ხელით სასროლი ყუმბარები. მოხდა ჩხრეკა მთელ რიგ წარმოებებში; დაპატიმრებულია რამოდენიმე მუშა.

„გაფართოებულ უფლებებიანი“ მთავრობა

კანონი საგანგებო უფლებების შესახებ მიღებულია

ბერლინი. 8 დეკ. რეიხსტაგმა 323 ხმის უმრავლესობით 18 ხმის წინააღმდეგ და ერთი ხმის თავშეკავებით მიიღო კანონი მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ. ნაციონალურ და ტევტონურ პარტიების დეპუტატები და, აგრეთვე, ოციოდე სოციალ-დემოკრატი დარჩენ სხდომის დარბაზში, მაგრამ კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. კანონის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, ბავარიის გლეხთა კავშირმა და დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატებმა.

რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ აიძულა ფრაქციის წევრები ხმა მიეცათ კანონ-პროექტის სასარგებლოთ და ბოიკოტი გამოუცხადა სოციალ-დემოკრატ ვილჰელმ ჰოფმანს, რომელმაც ხმა მისცა კანონის წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაავალა ფრაქციის ყველა წევრებს კანონ-პროექტისათვის ხმის მიცემა, კანონ-პროექტის განმეორებითი კითხვის დროს ფრაქციის 40-მა წევრმა თავი შეიკავა კენჭის ყრისაგან.

„ფორვერტს“-ი თავს იმართლებს.

პარიზი. 10 დეკემ. „ფორვერტს“-ი ცდილობს გაამართლოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც საგანგებო რწმუნებების კანონისათვის ხმის მიცემით აირჩია ორ ბოროტებიდან ნაკლები და მით თავიდან აიცილა მძიმე რეჟიმი, რომელიც ძლიერ ცუდ გავლენას იქონიებდა ახალ არჩევნების დროს.

მთავრობის ოთურმა

მთავრობის კრიზისი ტიურინგიაში.

ბერლინი. 9 დეკემ. ვეიმარიდან იუწყებიან, რომ ტიურინგიის მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგა.

მთავრობის კრიზისი ბავარიაში.

ბერლინი. 9 დეკემბ. მთავრობის კრიზისი ბავარიაში მოგვარებულია ბავარიის სახალხო პარტიის მიერ მიღებული ზომებით. ფინანსთა მინისტრმა უკან წაიღო განცხადება გადადგომის შესახებ. კნილინგის კონფლიქტი შინაგან საქმეთა მინისტრ შვეიერთან მოწესრიგებულია. შვეიერმა განაცხადა, რომ ჰიტლერის მომხრე მოხელეები გადაყენებული იქნებიან.

ტიურინგიის ლანდტაგში.

ბერლინი. 9 დეკემ. ტიურინგიის ლანდტაგმა ბურჟუაზიული პარტიების და კომუნისტების ხმების დიდი უმრავლესობით უარჰყო წინადადება ფრეილიხის კაბინეტის სოციალ-დემოკრატებით შევსების შესახებ. კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა წინადადება ლანდტაგის დაშლის და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. დადგენილება ჯერ მიღებული არ არის.

მთავრობის კრიზისი საქსონიაში.

ბერლინი. 9 დეკემბ. მემარჯვენე პრესამ გამოაქვეყნა ცნობები, რომ საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა ლიბმანმა 20 მილიონი ოქროს მარკა გადასცა პოლიციის საიდუმლო ფონდიდან მემარჯვენე ორგანიზაციებისათვის თვალყურის სადევნებლათ. პრესის მიერ გამოქვეყნებული ცნობების გამო, დაიწყო მთავრობის კრიზისი. დემოკრატიული პარტია მოითხოვს ლიბმანის გადადგომას. დემოკრატიულ პარტიასა და სოციალ-დემოკრატებს შორის მოლაპარაკება დაიწყო.

კონსტიტუციური გარანტიები

ნაციონალისტები მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნას.

პარიზი. 10 დეკემბ. ნაციონალისტები აწყობენ მიტინგებს, რომლებზედაც მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნას.

რეიხსტაგის წევრთა რიცხვის შემცირება.

ბერლინი. 10 დეკ. რეიხსტაგის თავმჯდომარის ლებეს წინადადების თანახმათ, რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ წინადადება შეიტანა შემცირებულ იქნას რეიხსტაგის დეპუტატთა რიცხვი ნახევრათ.

დეპუტატების ხელშეუხებლობა.

ბერლინი. 9 დეკემბერი. პროკურორის წინადადებით რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ დაადგინა გაუქმებულ იქნეს დეპუტატთა ხელშეუხებლობის უფლება უკანასკნელ კომუნისტურ გამოსვლებში ჩარეულ კომუნისტ-დეპუტატებისათვის.

პოლიციის „ბეჯითობა“

კომპარტიის დევნა

ბერლინი. 8 დეკემბერი. კომპარტიისა და ტევტონურ პარტიის აკრძალვის შემდეგ, პოლიციამ დაბეჭდა მათი ფრაქციების ბინები რეიხსტაგში. კომუნისტურმა დეპუტატებმა და ტევტონურ პარტიის წარმომადგენლებმა მიმართეს რეიხსტაგის თავმჯდომარეს ლებეს შუამდგომლობით ბინების განთავისუფლების შესახებ. ამის გამო ლებემ სექტს მიმართა. სექტმა უპასუხა, რომ ტევტონურ პარტიის საფრაქციო ოთახი შესაძლებელია განთავისუფლებულ იქნეს, ხოლო კომპარტიის ფრაქციის ცენტრალურ სადგომის განთავისუფლება კი შეუძლებლად სთვლის. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სექტმა აღუთქვა რეიხსტაგის თავმჯდომარეს, რომ ცალკე დეპუტატ-კომუნისტებს დაეთმობა რეიხსტაგის შენობაში სამეცადინო ოთახები. კომპარტიის ორგანო „შტურმ ფანე“ ამის გამო შენიშნავს: „როგორც სჩანს სექტი საპყრობილეში ამზადებს ოთახებს ჩვენი დეპუტატებისათვის“.

გაზეთი იუწყება, აგრეთვე, რომ თავდაცვის სამინისტრომ სპეციალური აპარატი შექმნა კომპარტიისათვის თვალყურის სადევნელათ, რისთვისაც გადადებულია 1 მილიონი ოქროს მარკა. გაზეთი იუწყება, რომ ეს განკარგულებები ცხოვრებაში ტარდება სოციალ-დემოკრატების თანხმობით.

„ზოგიერთი ზომები“

სტინესის პროგრამის შესრულება.

ბერლინი. 9 დეკემბერი. შრომის სამინისტრომ ენერგიულად შეუდგა სტინესის პროგრამის შესრულებას. გამოქვეყნდა განკარგულება უმუშევრებისათვის დახმარების შემცირების შესახებ და აგრეთვე იმ მუშებისათვის, რომლებიც არასრული დროის მუშაობენ. დაპყრობილ ოლქებში ამ კატეგორიის მუშებს უკვე შეუწყვიტეს დახმარების მიცემა.

„შტურმ ფანე“ იუწყება, რომ ეს განკარგულებები ცხოვრებაში ტარდება სოციალ-დემოკრატების თანხმობით.

გადასახლებულების ბედი.

ბერლინი. 9 დეკ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად იუწყება, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა გადაწყვიტეს მიიღონ ზოგიერთი ზომები, დაპყრობილი ოლქებიდან გადასახლებული გერმანელების მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ცნობაში ნათქვამია, რომ დეპუტის აზრით, წინააღმდეგობა შეწყდება მაშინ, როცა სამრეწველოებში მუშაობა განახლდება.

მოლაპარაკება მთავრობასა და დაპყრობილ ოლქების წარმომადგენლებს შორის.

ბერლინი. 9 დეკ. დაიწყო მოლაპარაკება მთავრობასა და დაპყრობილ ოლქების წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკებას პირველ ყოვლისა მიზნათ აქვს რეინის ოლქის წარმომადგენლების კომპეტენციის გამორკვევა მოკავშირეთა კომისიასთან მოლაპარაკების განახლების დროს. მომავალ კვირაში 60-თა კომისია გადაიქცევა რეინის პარლამენტათ და თავისი წრიდან ამოირჩევს დირექტორიას.

სამხედრო აჯანყება.

ნიუ-იორკი. 8 დეკემ. მექსიკაში იფეთქა სერიოზულმა სამხედრო აჯანყებამ. ხუერტას მომხრეები თავს დაესხენ მთავრობის ჯარებს. ქალაქ მექსიკაში საალყო წესებია გამოცხადებული.

კონსერვატორული მთავრობის დამარცხება ინგლისში

მთავრობა სასტიკად დამარცხდა არჩევნებში.

მოსალოდნელია მაკდონალდს მიანდონ ახალი მთავრობის შედგენა.

არჩევნების შემდეგ: საბოლოოთ გამოირკვა, რომ კონსერვატორულმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს ინგლისის დღევანდელ მთავრობას, არჩევნებში დაჰკარგა რამოდენიმე ათეული ადგილი.

თვით კონსერვატორების ზოგიერთი გაზეთები ილაშქრებენ ბალდვინის პოლიტიკის წინააღმდეგ.

არჩევნების გამოძახილი: საფრანგეთის პრესა დიდ „მწუხარებას“ გამოსთქვამს ბალდვინის დამარცხების გამო. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ბალდვინის დამარცხება ამავე დროს არის საფრანგეთის დამარცხებაც.

ინგლისი არჩევნების შემდეგ

არჩევნების შედეგები

ლონდონი, 8 დეკემბერი. უკანასკნელ ცნობების თანახმად არჩევნების შედეგი ასეთია: 254 კონსერვატორი (19 მოიმატეს, 109 დაჰკარგეს) 152 ლიბერალი (80 მოიმატეს, 35 დაჰკარგეს), 190 დეპუტატი მუშათა პარტიის (63 მოიმატეს, 15 დაჰკარგეს), 9 დეპუტატი სხვა პარტიებიდან.—ჯერ არ არის მიღებული ცნობები 10 ოლქიდან. ბალდვინის მთავრობის მინისტრებიდან 5 დამარცხდა. კონსერვატიული ბელადებიდან არჩეული არიან ბალდვინი, ორივე ჩემბერლენები, რობერტ-ხორნი, ლოიდ ჯორჯი არჩეულია 5.000 ხმის უმრავლესობით. მუშათა ლიდერებიდან არჩეული არიან მაკდონალდი, ფილიპ სნოუდენი, ხოჯსი, უებბი, სმაილი და ტრედ-იუნიონების კონგრესის თავმჯდომარე მარგარიტა ბონფილდი. ჰენდერსონი დამარცხდა. ბევრი ადგილები მიიღეს მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ბელადებმა; მათ შორის პერსელ-ლენსბერი რომელმაც მიიღო ლონდონის ოლქში დიდი უმრავლესობა—8.000 ხმა; ის ცნობილია თავისი მოღვაწეობით „ხელები შორს რუსეთისაგან“-ის მოძრაობაში. კომუნისტები პარლამენტში ვერ გავიდენ. ნიუბოლდი დამარცხდა, თუმცა მიიღო უფრო მეტი ხმები, ვიდრე შარშან, ეს სჩანს იქიდან, რომ უკანასკნელ მომენტში მის წინააღმდეგ გამოსულმა თრიმა ბურჟუაზიულმა კანდიდატმა თავისი კანდიდატურა მოხსნა.

კონსერვატორების დამარცხება

ლონდონი. 8 დეკემბერი. დიდი ბაჟების შემოღების შიშმა, განსაკუთრებით სასურსათო საგნებზე, აიძულა საშუალო კლასები პირი ებრუნებინა კონსერვატორებისაგან ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ერთგული დარჩა კონსერვატორების, იყო ბირმინგამი, მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. კონსერვატორები ფიქრობდენ გამარჯვებას

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

[illegible]

ახალი მთავრობის მოლოდინში

[illegible]

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

[illegible]

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

[illegible]

ბულგარეთის პოლიტიკური ემიგრანტები

[illegible]

სხვადასხვა

[illegible]

ასკვიტი თუ მაკდონალდი?

[illegible]

კომუნისტები შეეჭ·ულებას აწყობდენ არჩევნების წინააღმდეგ, და აღნიშნავს, რომ კომპარტიის წევრები დისციპლინის მქონე ხალხია და არავითარი ცდა არჩევნების ჩაშლისა არ ყოფილა. კომპარტია ხაზს უსვამს, რომ თავის ინფორმაციას „დეილი მეილი" სე ხულობს საპოლიციო წყაროებიდან.

არჩევნების საბოლოო შედეგები.

ლონდონი 9 დეკემბერი. არჩევნების საბოლოო შედეგები ამტკიცებს, რომ კონსერვატორებმა მიიღეს 256 ადგილი, ლიბერალებმა—153, მუშათა პარტიამ—182, დამოუკიდებლებმა—10, ამგვარად კონსერვატორებმა დაჰკარგეს 91 ადგილი, ხოლო მუშათა პარტიამ მოიმატა 48 ადგილი, ლიბერალებმა კი—43.

ვინ აირჩიეს

ლონდონი. 7 დეკემბ. ინგლისის არჩევნების პირველი შედეგები შემდეგ სურათს იძლევიან: მუშათა პარტიამ გაიმარჯვა 65 ოლქში, კონსერვატორებმა 61 ოლქში, ლიბერალებმა 41-ში. კონსერვატორებს უკვე ჰყავთ 96 დეპუტატი, მუშათა პარტიას 68, ლიბერალებს 52; ამათ გარდა არჩეულია 2 დამოუკიდებელი დეპუტატი. მანჩესტერში და ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობის რაიონში კონსერვატორებმა დაკარგეს ლიბერალების სასარგებლოდ 5 ადგ. რამდენიმე კონსერვატორი-დეპუტატი დამარცხდა ლივერპულში, რომელიც აქამდე ყოველთვის იძლეოდა კონსერვატორთა უმრავლესობას. ჩერჩილი დამარცხდა მუშათა პარტიის კანდიდატის ლოურენსის წინაშე.

მუშათა პარტიის უდიდესი დამარცხებები შემდეგია; ჰენდერსონი დამარცხდა ნიუ-კასტლში ლიბერალების სასარგებლოთ, ბეტერსის ოლქში დამარცხდა საკლატვალი, რომელმაც სულ 200-ით ნაკლები ხმა მიიღო თავის მეტოქესთან შედარებით.

საერთოდ, არჩევნები მუშათა პარტიისთვის ხელსაყრელი გამოდგა. მუშათა პარტიის გამარჯვებული დეპუტატები დიდი უმრავლესობით გადიოდენ. უმრავლესობა, რომლითაც კონსერვატორები გადიოდენ, გაცილებით უფრო მცირეა მუშათა დეპუტატების უმრავლესობასთან შედარებით.

მუშათა პარტიამ 300,000-ზე მეტი.

ჯერჯერობით გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით, ლიბერალების და მუშათა პარტიის კოალიცია აღემატება კონსერვატორების ძალებს.

კონსერვატორების დამარცხება ლანკაშირის ოლქში ძლიერ დამახასიათებელია. არსებობს ინგლისური ანდაზა არჩევნების შესახებ: „სადაც ლანკაშირია, მთელი ინგლისიც არის". კონსერვატორების დამარცხებას მოჰმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ლიბერალებმა გაიმარჯვეს 27 ახალ ოლქში, სადაც უკანასკნელნი აქამდე მარცხდებოდენ, მუშათა პარტიამ გაიმარჯვა 17 ახალ ოლქში, ხოლო კონსერვატორებმა მხოლოთ 2-ში.

ინგლისის რკინისგზელთა ბელადმა ტომასმა განაცხადა, რომ ეხლანდელი არჩევნები არ მისცემს უპირატესობას არც ერთ პარტიას და რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ახალი არჩევნები მოხდება.

— მიღებულია შემდეგი დამატებითი ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ: **კონსერვატორებმა მიიღეს 109 ადგილი, მუშათა პარტიამ—79, ლიბერალებმა—62, დამოუკიდებლებმა—8.** ამგვარათ კონსერვატორებს არა აქვთ აბსოლიუტიური უმრავლესობა. **საერთოდ კონსერვატორებმა ჯერჯერობით დაჰკარგეს 39 ოლქი, მუშათა პარტიამ მოიპოვა 22 ახალი ოლქი, ლიბერალებმა 17.** გრძელდება არჩევნების ანგარიში 300 დარჩენ ოლქში.

ასკვიტი გავიდა, არჩეულია აგრეთვე მუშათა პარტიის ვიცე-პრეზიდენტი [illegible]. ლივერპულში დამარცხდა კონსერვატიულ პარტიის გამოჩენილი მოღვაწე ადმირალი ხოლი. ჰენდერსონი ვერ გავიდა, არჩეულია ორი მისი ვაჟი.

გრინსკის ოლქში წამოყენებული კანდიდატი კომუნისტი გედსი ვერ გავიდა. დამახასიათებელია, რომ 1921 წლის არჩევნებზე მან მიიღო 9 800 ხმა, წელს კი მიიღო 10.300 ხმა. გედსი გამოვიდა ლიბერალურ პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ, რომელსაც ხმა მისცეს კონსერვატორებმაც. **ჯერჯერობით არჩეულია 2 ქალი,—კონსერვატორებიდან ლედი ასტორი და მუშათა პარტიიდან—ხოუზანა ლაურენსი.**

არჩევნების გამოძახილი

გერმანიის პრესა არჩევნების შესახებ.

ბერლინი. 9 დეკემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ" ეხება რა ინგლისის არჩევნებს, ხაზს უსვამს, რომ **კონსერვატორების დამარცხება ნიშნავს საერთაშორისო პოლიტიკის ხაზის მარცხნივ გადახრას. გაზეთი აფრთხილებს ნაციონალისტებს არ დაიჩქარონ არჩევნები გერმანიაში, რადგან მათ შეიძლება ეწვიოს ბალდვინის ბედი.**

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" სტინესის ორგანო სწერს, რომ ბალდვინის დამარცხება ნიშნავს აგრეთვე პუანკარეს დამარცხებას.

„ლოკალ ანცეიგერ" კმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლისში პროტექციონიზმის სისტემის დამარცხების გამო, რომელიც ზიანს აყენებდა გერმანიის მრეწველობის განვითარებას.

საფრანგეთის პრესა არჩევნების შესახებ.

პარიზი. 9 დეკემბერი. საფრანგეთის პრესა ეხება რა ინგლისის არჩევნებს, **ხაზს უსვამს კონსერვატორების და მასთან ერთად ბალდვინის მთავრობის დამარცხებას. გაზეთები** ფიქრობენ, რომ მთავრობა კვლავ დაუბრუნდება ლოიდ-ჯორჯს, ვინაიდან არც ერთი პარტია არ არის იმდენათ ძლიერი, რომ დამოუკიდებლათ აიღოს ხელში ძალაუფლება.

პრესა აღნიშნავს ინგლისის მუშათა პარტიის გავლენის ზრდას. პარიზის გაზეთი „სიუარ" ამის გამო სწერს: **გამარჯვება ინგლისის მუშათა პარტიის, რომელიც მისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ და ებრძვის ყველა ქვეყნების იმპერიალიზმს, მეტად დიდმნიშვნელოვანი იქნება.** მას ანგარიში უნდა გაუწიოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც.

„ტან" ამტკიცებს, რომ **საფრანგეთის დიპლომატია ცდილობდა და ხმარება აღმოეჩინა ბალდვინისათვის არჩევნების დროს.** გაზეთი იუწყება, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდი საფრანგეთის მთავრობა სთხოვდა ინგლისს მონაწილეობა მიეღო რეინის და რურის ოლქების ექსპლოატაციაში, განსაკუთრებით კი კონტროლში რურის მრეწველობაზე.

„ლ'იუმანიტეს" აზრით, ეს იქნებოდა რურის დაყოფა მოკავშირეთა შორის.

საფრანგეთის „მღელვარება"

საფრანგეთის პრესა ბალდვინის დამარცხების შესახებ

პარიზი. 9 დეკემბერი. პარიზში ფიქრობენ, რომ ბალდვინის და კონსერვატორების დამარცხება, დიდ გავლენას მოახდენს ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. საერთო აზრით, **ახალი მთავრობის შედგენას მიანდობენ რამზეი მაკდონალდს,** მაგრამ შესაძლებლად მიაჩნიათ აგრეთვე საქმიანი კაბინეტის შედგენაც ჩემბერლენის და დერბის მონაწილეობით. „ჟურნალ ინდუსტრიელი" არჩევნების შედეგებს სასურველად სთვლის საფრანგეთისათვის ეკონომიურად და ფრიად საზიანოთ პოლიტიკურად, ვინაიდან **პროტექციონიზმის გამარჯვება არ არის ხელსაყრელი საფრანგეთისათვის,** რომელმაც ინგლისში მიმდინარე წელს გაჰყიდა 6 მილიარდი ფრანკის საქონელი.

საფრანგეთის პრესა გამოსთქვამს შიშს, რომ ლიბერალების და მუშათა პარტიის მთავრობის პოლიტიკა მტრული იქნება საფრანგეთისათვის. რადიკალური ორგანოებიც კი გამოსთქვამენ შიშს იმის გამო, რომ მთავრობას სათავეში მოექცევიან ლოიდ-ჯორჯი და მაკდონალდი.

ტარდიე „ეკო ნაციონალში" აღნიშნავს, რომ კონსერვატორების დამარცხება გამოწვეულია უმუშევრობით, სიძვირით და საბინაო კრიზისით. ტარდიე ხაზს უსვამს, რომ ერთგვარი მიზეზები გამოიწვევენ ერთგვარ შედეგებს საფრანგეთში მომავალ წელს განზრახულ არჩევნებში.

სოციალისტური გაზეთი „ჩეხოსლოვენი ნოვინი" სწერს: „**ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და ჩვენი მომავალი ენერგიულად მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებას.** მიუხედავათ ამისა ჩვენ კავშირს ვაბამთ რუსეთის ემიგრაციასთან, რომელიც ყველაზე უფრო დამნაშავეა რუსეთის კრიზისის გამწვავებაში და გაზვიადებაში.

დროა მთავრობა შეუდგეს ს. ს. რ. კავშირთან დამოკიდებულების საკითხის გულწრფელად და მიუდგომლად გადასინჯვას".

ამხ. ჩიჩერინის ნოტა მემელის შესახებ.

მოსკოვი. 9 დეკემბერი. ამხ. ჩიჩერინმა გაუგზავნა ერთა ლიგაში წარმოდგენილ სახელმწიფოთა მთავრობებს ნოტა, რომელშიაც ენერგიულ პროტესტს აცხადებს მემელის საკითხის საბჭოთა მთავრობის მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტისაკენ მიმართულ ახალ ცდის წინააღმდეგ. ნოტა აღნიშნავს, რომ იმ მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულების გამო, რომელიც არსებობს მემელის რაიონს და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, აგრეთვე ბალტიის ზღვაზე პოლიტიკურ თანასწორობისათვის და ს. ს. რ. კავშირის ხელშეუხებლობის დაცვისათვის ამ რაიონის დიდ მნიშვნელობის გამო,—მემელის საკითხის რაიმე გადაწყვეტა ს. ს. რ. კავშირის მონაწილეობის გარეშე მიჩნეული იქნება საბჭოთა მთავრობის მიერ მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მტრულ აქტათ. კერძოთ, კავშირის მთავრობა პროტესტს აცხადებს მემელის ნავთსადგურში, მდინარე ნემანის შესართავთან, ს. ს. რ. კავშირის მონაწილეობის გარეშე საერთაშორისო სასამართლოს დაწესების წინააღმდეგ. კავშირის მთავრობა არ სცნობს მისი მონაწილეობის გარეშე მიღებულ არც ერთ დადგენილებას მემელის საკითხში. კავშირის მთავრობა საჭიროების დროს წარუდგენს ამ საკითხის გადაწყვეტაში [illegible]

[illegible] ხადა, რომ ის შეუძლებლად სთვლის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას ურთიერთობის სავსებით აღდგენის გარეშე.

საპასუხოთ საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც ესალმება რუმინეთის სურვილს ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენად მოლაპარაკების დაწყების საქმეში და წინადადება მისცა რუმინეთის მთავრობას მიუთითოს დრო და ადგილი სრულუფლებიანი დელეგაციების შესახვედრად. სიტყვა ეხლა რუმინეთის მთავრობას ეკუთვნის, მან გარკვეული პასუხი უნდა მისცეს სწორად დაყენებულ კითხვაზე".

ამხ. იორდანსკის განცხადება.

რომი. 9 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იტალიაში ამხ. იორდანსკიმ „როსტას" თანამშრომელთა საუბრის დროს განაცხადა:

„პრინციპიალური საკითხები იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის და სავაჭრო ხელშეკრულების დადების, შეიძლება გადაჭრილათ ჩაითვალოს".

იმ გარემოებას ამხ. იორდანსკი ხაზს უსვამს, რომ მუსოლინი მიხვდა, რომ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის თანასწორობის ნიადაგზე. საბჭოთა მთავრობის ენერგიულობას საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების დაცვის დროს, მუსოლინიმ „პედანტიურობა" უწოდა. საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის ურთიერთობის სიმტკიცისათვის საჭიროა, რომ არც ერთმა მხარემ არ ინანოს თავის დათმობების შესახებ.

რომი. 8 დეკემბერი ფაშისტური „ნოუვო პეზე"-ს ცნობით, სენატის კომისიის წევრები, რომლებიც იხილავდენ საკითხს რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ, შეთანხმდენ იმაში, რომ ხელშეკრულება პირველ ნაბიჯს წარმოადგენს რუსეთსა და იტალიის მომავალი შეთანხმების გზაზე.

[illegible] ებში ანგორიდან კონსტანტინეპოლ[illegible] ლაზე, თუ მას აირჩევენ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მიწა ასკერებს.

ბაქო. 9 დეკემბერი. აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო და სოფლის საადგილ-მამულო განყოფილებებს, მისცენ პირველ რიგში მიწები სახელმწიფო მიწათა ფონდიდან, თანახმად ახალ საადგილ-მამულო კოდექსისა, ჯარიდან განთავისუფლებულ წითელ ასკერებს, უპირატესობა ენიჭებათ ჯარიდან განთავისუფლებულ ასკერთა გაერთიანებებს, რომელნიც საერთო ძალ-ღონით დაამუშავებენ მიწებს. გადასახლებულ ასკერებს, ცალ-ცალკე რაიონების კოლონიზაციის გეგმის თანახმად, მიეცემათ მიწები საკოლონიზაციო ფონდიდან, აგრეთვე პირველ რიგში.

სომხეთი

საბჭოს ყრილობა

ერევანი. 9 დეკემბერი. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები რესპუბლიკის ფინანსებისა, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის შესახებ.

7 დეკემბერს მოსმენილი იქნა მიწათმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. ერზინკიანის მოხსენება მიწათმოწყობისა და საერთოდ კომისარიატის მუშაობის შესახებ.

ჩვენი კავშირის რესპუბლიკებში

(პრესის მიმოხილვა)

პირველი ნაბიჯი გადადგმულია

ამას წინათ ჩვენ ვლაპარაკობდით იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დასმულია ყირგიზეთის რესპუბლიკაში ენის საკითხის მოგვარების გარშემო. ჩვენ აღვნიშნეთ ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ელობებიან საბჭოთა ხელისუფლებას სახელმწიფო ორგანოებში ყირგიზულ ენის შემოღების განხორციელებაში. ამ დაბრკოლებებს ითვალისწინებს ყირგიზეთის სახალხო კომისართა საბჭო. უკანასკნელმა დანიშნა ორი ვადა დაწესებულებების ყირგიზულ ენაზე გადასაყვანად და მიზნად დაისახა მუშაობის დაწყება ქვევიდან.

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. აი როგორ სწერს ამის შესახებ „სტეპნაია პრავდა"-ს კორესპონდენტი:

„1923 წ. პირველი ნოემბერი შევა ყირგიზეთის რესპუბლიკის რევოლიუციონური სასამართლოს ისტორიაში, როგორც ღირსშესანიშნავი ეტაპი მის განვითარებაში. ამ დღეს პირველათ გაისმა მართლმსაჯულების ხმა ყირგიზეთის [illegible] დორ-ველებში მშრომელი მასებისათვის გასაგებ ენაზე. მთელი მართლმსაჯულება და სასამართლო საქმეების წარმოება [illegible] დატანილ იქნა ყირგიზულ ენაზე".

და თუნდაც რომ საქმე, რომელიც მოსმენილი იქნა არ წარმოადგენს [illegible] ღირსშესანიშნავ რამეს, მაგრამ ფაქტი, რომ ეს საქმე იყო პირველი, წარმოადგენს ისტორიულ ნაბიჯს. ჩვენს წინაშე დასმულია სასამართლოს საქმეების წარმოების მოგვარების ამოცანა. ჩვენში იქვს არ [illegible] ბადებდეს ის საკითხი, თუ რომელ ენაზე უნდა ხდებოდეს სასამართლო საქმეების წარმოება; ჩვენთვის ნათელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიზანია—„მართლმსაჯულების ხმა გაისმოდეს მოსახლეობის [illegible] მასებისათვის გასაგებ ენაზე".

იმ რაიონებში, რომლებშიაც სახლობენ სხვა ეროვნებანი, მართლის სიტყვა უნდა გაისმას მათ მშობლიურ ენაზე.

მუშათა სოციალურ დაზღვევის საქმე 1923 წ.

ახლოვდება საანგარიშო წლის დასრული და თქმა არ უნდა მუშათა დამზღვევი ორგანოები გაუკეთებენ საერთო ჯამს თავის მოქმედებას საანგარიშო წელში და აღნიშნავენ როგორც დადებით მხარეებს თავის მუშაობისა მუშათა დაზღვევის საქმეში, აგრეთვე საჭიროდ დაინახავენ გათვალისწინებულ იქნას ყოველივე ნაკლი, თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო ჰქონდა ადგილი; ეს უკანასკნელი კი უფრო საჭიროა, რადგანაც ეს იქნება საწინდარი, რომ შემდეგი მუშაობა უფრო ნაყოფიერი გამოდგეს და მუშათა სოციალური დაზღვევა სწორ ჩარჩოებში ჩამოყალიბდეს.

ნაკლულევანებათა აღნიშვნა, იმის გათვალისწინება, რომ ვერ მოესწრო გაკეთება ყოველივე იმისა, რაც საჭირო იყო, ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს; ჯერ ერთი მისთვის, რომ, სოცდაზღვევა, იმ ფართო მასშტაბით, როგორც დღეს ჩვენ ვატარებთ ცხოვრებაში,—ახალი საქმეა, და მეტი არ იქნება იმის თქმა, რომ ყოველივე ახალ საქმეს სჭირია გამოცდილება და დრო, რომ შესაძლებელი გახდეს მისი შესწავლა და სწორ ნიადაგზე დაყენება; მეორეთ კიდევ უნდა იქნას სახეში მიღებული ის გარემოებაც, რომ სოცდაზღვევის საქმის დაყენება გვიხდება იმ დროს, როცა ჩვენი მრეწველობა ჯერ კიდევ განიცდის დიდ კრიზისს და სოცდაზღვევა-კი პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება ამ უკანასკნელთან.

აი, სწორეთ ამისათვის უფრო არის საჭირო, რომ ყოველივე ნაბიჯი აწონდაწონილი იქნას, რათა აქედან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ და შესაფერი ღონისძიებანი მივიღოთ.

ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სოცდაზღვევის საქმემ საქართველოში დიდი ნაბიჯები გადადგა წინ და ფრიად თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. დღეს დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი ავადმყოფობის დროს დამზღვევ ორგანოებიდან ღებულობენ სრულ ხელფასს რასაც ისინი კარგათ ყოფნის დროს მიიღებდნენდა, ამნაირად, ავადმყოფის მდგომარეობა ნივთიერად უზრუნველყოფილია ავადმყოფობის დროს.

წამლობა ექიმობა სრულიად უფასოა დაზღვეულთათვის.

ხოლო რაც შეეხება ერთდროულ, დახმარების რაოდენობას დაზღვეულთა სიკვდილის და მშობიარობის დროს, დახმარების რაოდენობას დავრდომილთათვის, ქვრივ-ობოლთა და უმუშევართათვის, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ ვერ გვაქვს ჯერ-ჯერობით საქმე სასურველ სიმაღლეზე დაყენებული. უმაღლესი დახმარების რაოდენობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება შვიდი საქონლის მანეთით, რის სიმცირეც სრულიად ნათელია.

სანამ ჩვენ შევეხებოდეთ ამ ნაკლის გამოსწორების აუცილებლობას, საჭიროა გავითვალისწინოთ დამზღვევი ორგანოების ნივთიერ-ფინანსიური მდგომარეობა, რომ დასკვნა მარტო სურვილზე კი არ გვქონდეს დამყარებული, არამედ რეალურ შესაძლებლობაზე. მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საქმე მოითხოვს მტკიცე, ურყევ საფუძველს, დაზღვევის საქმის ცვალებადობა უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ თანდათანი გაუმჯობესების საკენ და დიდ საზიანოთ უნდა იქნას მიჩნეული, თუ ისეთ პირობებს შევქმნით, რომ ცვალებადობა დაზღვევის საქმეში, თუნდა ოდნავ, გაუარესებას გამოიწვევს. ეს აუცილებელი პირობა არის დამზღვევი საქმის მიზანშეწონილი წარმოებისათვის და აქეთ უნდა იქნას მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება. თუ ასეთი თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, ხოლო, ვიმეორებ, სხვანაირი მიდგომა არც შეიძლება,—მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი მისწრაფება პროფესიონალური კავშირებისა და დამზღვევ ორგანოებისა, დაზღვეულთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ—დახმარების ნორმების გადიდების მხრივ—ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

როგორია არის დამზღვევ ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა? ამის პასუხს ჩვენ მივიღებთ ქვემო-მოყვანილი ციფრებიდან, რაიც იმას გვიჩვენებს, რომ დაზღვეულთათვის გასაღები ხარჯები თანდათანობით დიდდება.

გაწეული ხარჯების მთელი ჯამი რესპუბლიკის ყველა დამზღვევ ორგანოების მიერ იანვარ-ივლისის თვეებში (ნაჩვენებია საქონლის მანეთებში) შემდეგია:

თვე	დახარჯულია	ხარჯის ზრდა პროცენტით იანვართან შედარებით.
იანვარი	26.687	100,0
თებერვალი	37.480	140.4
მარტი	60.885	228,1
აპრილი	55.735	208,8
მაისი	54.499	204,2
თიბათვე	92.783	347,7
მკათათვე	96.708	362,4

ამნაირად ივლისის ხარჯი იანვართან შედარებით გადიდებულია 362,4 პროცენტით.

ვნახოთ ეხლა შემოსავალი:

რესპუბლიკის დამზღვევ ორგანოების შემოსავლის რაოდენობა იანვარ-ივლისის თვეებში (ნაჩვენებია საქონლის მანეთებით) შემდეგია:

თვე	შემოსულია.	შემოსავლიანობის ზრდა პროცენტით იანვართან შედარებით.
იანვარი	37.226	100,0
თებერვალი	57 091	153,4
მარტი	96.143	258,3
აპრილი	97.461	261,8.
მაისი	76 561	205,7
თიბათვე	82,651	222,0
მკათათვე	103.854	279,0

ივლისის შემოსავალი იანვართან შედარებით გადიდებულია 279,0 პროცენტით, ანუ ხარჯი გაზრდილა 362,4 პროცენტით, ხოლო შემოსავალი 279 პროცენტით.

ამ ციფრებიდან მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ხარჯები გაცილებით აღემატება შემოსავალს. აქ უნდა იქნას აღნიშნული, რომ დამზღვევმა ორგანოებმა საანგარიშო წლის განმავლობაში დიდი ენერგია დახარჯეს პროცენტების აკრეფაში და მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწიეს, რასაც ამტკიცებს მოყვანილი ცხრილი, მაგრამ ხარჯების ზრდას მაინც ვერ დაეწიენ.

სად და რაში უნდა ვეძებოთ ჩვენ ამის მიზეზი?

დაუკვირდით შემდეგ ცხრილს:

დაზღვეულ პენსიონერთა და უმუშევართა რიცხვი და ავადმყოფობის გამო გაცდენილ დღეების რაოდენობა იანვარ-აგვისტოს განმავლობაში ასეთია:

თვე	[illegible] რიცხვი	[illegible] უმუშევარი	გაცდენილ დღეების რაოდენობა ავადმყოფობის გამო
იანვარი	487	1.062	18.457
თებერვალი	474	1.666	21.173
მარტი	721	2.642	25.306
აპრილი	745	2.382	26 901
მაისი	680	3.194	30.881
თიბათვე	802	3.639	29 409
მკათათვე	1018	4.700	29.933
აგვისტო	1050	5 394	28.641

აი, ნამდვილი მიზეზი ხარჯების ზრდისა; საანგარიშო წელში დახმარების ნორმები დაზღვეულთათვის ნომინალურად არ გადიდებულა, მაგრამ ხარჯები კი შესამჩნევად იზრდებოდა. მაშასადამე, ხარჯების ზრდას იწვევდა პენსიონერთა და უმუშევართა რაოდენობის ზრდა. პენსიონერი დამზღვევ ორგანოთა ზრუნვაზე ყოფილა იანვარში—487 და აგვისტოში კი ეს რიცხვი გაზრდილა 1050-მდე.—უმუშევარნი იანვარში დაზღვეული ყოფილან 1062, აგვისტოში კი ეს რიცხვი 5394-მდე გაზრდილა. თანდათანობით, შესამჩნევლად გაზრდილა ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეებიც; იანვარში 18.457—გაცდენილი დღე ყოფილა, რომელიც კასებმა აუნაზღაურეს დაზღვეულთ, და აგვისტოში კი ეს რიცხვი გაზრდილა 28.641-მდე.

რა მოგველის ამ მხრივ ახლო მომავალში? სრულიად შეუცდომლად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პენსიონერთა, დავრდომილთა და უმუშევართა რიცხვი კიდევ გადიდდება [illegible] გადიდდება; მაშასადამე, ხარჯები კიდევ გაიზრდება მომავალში იმ გადამეტებული პროპორციით შემოსავლიანობასთან, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ. აგრეთვე შეუცდომლათ შეიძლება ითქვას, რომ ავადმყოფთა დღეებიც გაიზრდება. რატომ?—იმიტომ, რომ დაზღვევის საქმე, რაც დრო გადის, იმდენად უფრო პოპულიარული ხდება მუშათა ფართე წრეებში, მუშათა ფართე წრეები ეხლა და ეხლა ცნობიან დაზღვევის დიად მნიშვნელობას და სარგებლიანობას. ჯერ კიდევ ბევრი მუშა-მოსამსახურე, რასაკვირველია, ზოგი შეუგნებლობით, ზოგი სხვა მიზეზების გამო, იოლად მიდის და კასას არ მიმართავს ხოლმე. აქ ბევრ მიზეზებს აქვს ალაგი. შეუგნებელი მუშა დაზგას ვერ მოშორებია—„კასას სადა ვსდიო, აქ ალაგიც არ დამეკარგოსო". ერთი სიტყვით, უტყუარად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ **მიმართვა კასებისადმი დაზღვეულთა მიერ ჯერ კიდევ არ არის ხრული.** არა ნაკლები ალაგი უჭირავს ასეთ შემთხვევებსაც, როცა მოსამსახურე ავადმყოფობის გამო თავს იკმაყოფილებს დაწესებულებებიდან. ასეთი მოვლენები თანდათანობით მოისპობა, დღეს-კი ჩვენ აუცილებლათ გვექნება საქმე დაზღვეულთაგან კასების მიმართ მიმართვის რაოდენობის ზრდასთან, ეს კი ხარჯებს კიდევ უფრო გაადიდებს.

როცა ჩვენ ხარჯების გადიდებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას, რაც თავის მხრივ კიდევ მოითხოვს ჩვეულებრივზე მეტს ხარჯებს, ვინემ დამზღვევი ორგანოები აქამდე ეწეოდენ. ეს გახლავთ უფასო წამლობა-ექიმობის საქმე.

დამზღვევ ორგანოების ხელმძღვანელებმა კარგათ იციან, რომ შემოსავალი „წამლობის ფონდის" სახით, რომელიც სრულიად ეძლეოდა ჯანმრთელობის კომისარიატს, ხარჯებს ვერა ჰფარავდა; ჯანმრთელობის კომისარიატი თავის რესურსებით ავსებდა წამლობა-ექიმობით გამოწვეულ ხარჯებს დაზღვეულთათვის, ეხლა ის იმდენ დახმარებას ვეღარ გაუწევს დაზღვეულთ, რამდენსაც აქნობამდე ეწეოდა; მაშასადამე, აქაც დამზღვევ ორგანოებმა უნდა დაამატონ საჭირო თანხები წამლობისათვის, და ეს დამატებითი ხარჯები უნდა გამოაკლდეს სხვა ფონდებს,—უმუშევართა და პენსიონერთა ფონდებს. ყველა აქ ჩამოთვლილი მოსაზრებანი იმას გვიმტკიცებენ, რომ დღეს-დღეობით დახმარების ნორმებს ვერ გავადიდებთ ისე, რომ შეგვეძლოს თავიდან ავიცილოთ არასასურველი, მოსალოდნელი ცვალებადობა დაზღვევის საქმეში არსებული მდგომარეობის გაუარესება.

აქამდე დამზღვევი ორგანოები გადამეტებულ ხარჯებს, შემოსავალთან შედარებით, ფარავდენ იმ ეკონომიით, რაც მათ შემოინახეს, მოიმარაგეს მაშინ, როცა დაზღვეულთა მხრივ მიმართვას კასებისადმი მცირე ალაგი ეჭირა, მაშასადამე, თუ არ გადიდდა შემოსავალი, თუ ხარჯები შემოსავლიანობას არ შეუფარდეთ, შემონახული „ეკონომია"—თავის თავად დაილევა და დაზღვევის საქმეს საფრთხე გაუმზადდება.

ამნაირად, პროფკავშირთა და დამზღვევ ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღება იქით უნდა იქნეს მიპყრობილი, რომ **დაზღვევის** [illegible] **გაუმჯობესებების თავდებათ** [illegible] **დღისათვის უნდა განამტკიცონ შედეგები, რასაც დღევანდელ**[illegible] **მიაღწიეს.** ამისათვის კი საჭ[illegible] დამზღვევმა ორგანოებმა ხელ[illegible] რნეობა გამოიჩინონ დამზღვევ[illegible] **დების ხარჯვაში.** არის შემთხ[illegible] როცა ესა თუ ის კასა და [illegible] რესპუბლიკის დამზღვევი [illegible] სამმართველოც, დიდ თანხებს ხარჯავენ არა პირდაპირ დანიშნ[illegible] ზე, მაგალითად: დასასვენებელ[illegible] ლებზე, სანატორიებზე და სხ[illegible] თქმა უნდა, დაზღვეულთ და[illegible] ბელი სახლები და სანატორი[illegible] ესაჭიროებათ, მაგრამ ასეთ და[illegible] ბულებებს დიდი ფული სჭ[illegible] და, უნდა ვიფიქროთ, რომ და[illegible] ვი ორგანოები ამას ისე ვერ [illegible] ხერხებენ, **რომ არ შეაფერხ**[illegible] **ზღვეულთა მატერიალური** [illegible] **რეობის უზრუნველყოფა** [illegible] **მჯობესება.**

უნდა იქნეს გამოყენებული [illegible] ზომები და საშუალება, რომ [illegible] ცენტო ანარიცხი უკლებ[illegible] დროზე იქნას აკრეფილი. [illegible] და სამუდამოდ უნდა მოეღო[illegible] დავალიანებას, რომელიც ამ [illegible] სჭნელ დროს საგრძნობლად [illegible] და და 1-ლ ოქტომბრისათვის [illegible] 21 ათასზე მეტ ჩერვონეცს [illegible]

ყველა ამას უნდა მიექცეს [illegible] დღება განსაკუთრებით რესპუ[illegible] დამზღვევ მთავარ სამმართ[illegible] მხრით დაზღვევის საქმის [illegible] ცება და წარმატება უნდა [illegible] შიროთ მის უნარიანობასთან.

ხანდრო [illegible]

პარტიული ცხოვრება

პარტიის ახალ ამოცანების შესახებ

III*)

...რო ყურადღებით ჩაუკვირ... ...თო ყრილობის დადგენი... ...მეათე ყრილობის ... ამას ჩვეულებრივათ ... ვიდრე ... დავრწმუნდებით, ... არ მიუღია ...

...ბელოებში. აქ — პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ისინი ვერ იხილავენ დემოკრატიას ვერასოდეს, გარდა სიზმარისა. არა მათთვის-ყოველ შემთხვევაში—არის დაწერილი ის საბჭოთა ქვეყანაში.

...ეროვნული პოლიტიკისაგან გადახრის წინააღმდეგ უნდა აწარმოვოს გაბედული ბრძოლა. ამასვე გვავალებს ჩვენ ყველასათვის ცნობილი, პარტიის მე-12 ყრილობა.

„რევოლიუციის კანონი არის უმაღლესი კანონი პარტიისათვის". და რა თქმა უნდა რევოლიუციის ინტერესებს პარტია უფრო მაღლა დააყენებს, ვიდრე დემოკრატიის პრინციპებს. თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესები, პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია დასტოვოს დანიშვნის სისტემაც. აქვე საჭიროა...

...დგენილებანი. მე-10-ე ყრილობის დადგენილება პარტიიდან ყველა იმ პირთა დაუყოვნებლივ გამორიცხვის შესახებ, რომლებიც არ დაემორჩილებიან ყრილობის კატეგორიულ მოთხოვნილებებს, და აგრეთვე ყოველგვარ ფრაქციების დაშლის შესახებ; ეს დადგენილება ჯერ არავის არ გაუუქმებია, პარტიის შინა დემოკრატია გულისხმობს მაქსიმალურ მთლიანობას და მჭიდრო კავშირს პარტიის რიგებში. ეს ყოველგვარ პირობებში. ხოლო დღეს ამ მოთხოვნილებას მით უფრო მეტი ძალა ეძ...

...სამწუხაროდ მე მომცეს მხოლოდ თარგმანი ქართულიდან (არ ვიცი რამდენათ სწორი თარგმანია) და მე არ ვსარგებლობ ციტატებით, ვაშუქებ მხოლოდ ამხ. ცინცაძეს მიერ საკითხის დაყენებას საერთოდ. მიუხედავათ ამისა, ჩემთვის ნათელია, რომ საკითხის ასე დაყენება მოი...

...ასეთ ამხანაგების ჩვენმა ორგანიზაციებმა სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ, რადგან ისინი ხელს უშლიან ჩვენი ძირითადი ამოცანის შესრულებას—პარტიის ახალი ამოცანების შესახებ საკითხის გადასაჭრელათ მთელ რიგ კონკრეტიულ წინადადებების გამომუშავებას.

რუბენ.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩეულნი არიან:

1) მეხამე რაიონის ხახუნხათ ორგანოებისა, ალმახკომის წახქარლებიძ, თამბაქოს ქარხანა „კაპიტალი"-ს და კერძო პურის საცხობთა და ლიმონადის ქარხნის მუშებისაგან: ამხ. ამხ. აშოტ საიკიანი (კომ.) შახბუდოვი (კომ.), პეტროსოვი (კომ.), და მარტიროსოვი (ახ. კომ. წევრი); კანდიდატებად ქურდიაშვილი (კომ.) და გეორგობიანი (უპარტიო).

...სხირტლაძე (უპარტიო), ... (უპარტიო).

9) ... და ... ამხ. მიხეილ ... (უპარტიო).

10) ქალაქის ხაავადმყოფოდან, ამბულატორიიდან და აფთიაქებიდან ამხ. ამხ. სოსიანცი (კომ.), ნადირაშვილი (კომ.), აკოფოვი (კომ.). ჯაფარიძე (კანდიდატი) დენიბა...

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(10 დეკემბერი).

ჩერ. ვონცები — — —	260,000
გარ. სტერლინგ. ყიდვ.	255,000
ჩვებბი	255,000
დოლარები ყიდვ.	58,500
ჩვებბი	55.500
ოსმ. ქაღ. ლირა	31.500
იტალიური ლირა	1840
ფრანგული ფრანკი	2760
საბჭ. ფულის ნიშნები	15

სურსათის ფასები.

პური 1 ხარ.—1100 ათ., პური 2 ხარ. —900, ძროხის ხორცი—4,000 ათ. ცხვრის ხორცი—4500 ათ. ფხვნილი შაქარი—7750 ათ შაქარი, რაფინადი—12,200 ათ., ბრინჯი ალდ. —2350. ათ. კარტოფილი—300. ათ. ვერმიშელი—3550 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხ.—1500 ათ., პური 2 ხარ.—1 მილ., ძროხის ხორცი 4—4500 ათ. ცხვრის ხორცი—5 მილ. შაქარი რაფინადი — 12,500 ათ. ფხვნილი შაქარი—8,000 ათ., ბრინჯი ალდაშის 2500 მან. ათ. ვერმიშელი—3600 ათ. მაკარონი 4 მილ. კარ...

ოფიციალური ფასები

ჭუ^ვი ფესაცმელები (ძარები) —„კოჟსინდიკატ"-ის პრეისკურანტის ფასებში.

ასანთი რუს. „ვოლკოვ"-ის—14 მ. 50 კ. ჩერ. 1000 კოლოფში.

ტყავი (შევიოტი)—19 მ. მეტრში და 12 მ. 50 კ.,—ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

შაქარი რაფ. რუს. 17 მან. 25 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ვალუტის ბაზრის ტენდენცია

ჩერვონცების, სტერლინგის და დოლარის კურსი თანაბრად მატულობს; ოსმალ. ქაღ. ლირის მოთხოვნილება სუსტია. საბჭ. ფულის ნიშნებს ეტყობა მომატება.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(10 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	260.000,	60 კ.—	15.600.000
2 „—	520.000,	70 „—	18.200.000
3 „—	780.000,	80 „—	20 800.000
4 „—	1.040.000,	90 „—	23.400.000
5 „—	1.300.000,	1 მ.—	26.000.000
6 „—	1.560.000,	2 „—	52 000.000
7 „—	1.820.000,	3 „—	78.000.000
8 „—	2.080.000,	4 „—	104 000.000
9 „—	2.340 000,	5 „—	130.000.000
10 „—	2.600.000,	6 „—	156.000.000
20 „—	5 200.000,	7 „—	182 000.000
30 „—	7.800.000,	8 „—	208 000.000
40 „—	10 400.000,	9 „—	234.000.000
50 „—	13000.000,	1 ჩერ.—	260 მილ

ქალაქის კომუნალური მეურნეობა

მუნიციპალური აბანოები

...აბანოები—მოაბანოვეთა რაოდენობის მიხედვით.

საბჭოთა სასამართლოში

მეცნიერება და ტექნიკა

ქრონიკა

— **წყალდიდობა სენაკის მაზრაში.** 29 და 30 ნოემბერს სენაკის მაზრაში ჰქონდა ადგილი დიდ წყალდიდობას. მდინარე ცხენის წყალი, რიონი და სხვა ამოვიდნენ კალაპოტიდან და წალეკეს რამდენიმე სოფელი. ზოგიერთი ოჯახები თითქმის მთლად განადგურებულია ბევრი პირუტყვი და შინაური ფრინველი დაიღუპა.

— **სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის რწმუნებული.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის წარმომადგენლად ლეჩხუმში დაინიშნა ამხ ი. სიორიძე.

— **უმუშევართა ხელახალი აღრიცხვა.** 6 და 7 დეკემბერს შრ. ბირჟაზე ხელ-ახალი აღრიცხვაზე გამოცხადდა—726 უმუშევარი მათ შორის აღრიცხვაზე დარჩა—687, აღრიცხვიდან მოხსნილი იქნა—39.

— **საარბიტრაჟო კომისია.** საფონდო-სავალიუტო ბირჟის კომიტეტმა დაადგინა ტფილისის საფონდო-სავალიუტო ბირჟასთან დაარსოს საარბიტრაჟო კომისია.

— **უმუშევართა დახმარება.** ნოემბრის განმავლობაში უმუშევართა დახმარების განყოფილების მიერ ოქტომბრის განმავლობაში დახმარების სახით დარიგდა უმუშევრებს მიეცათ 93 მილიარდი 768 მილიონი და 400,000 მანეთი.

— **შრ. სასამართლოს ახალი გამომძიებელი.** ტფ შრომის სასამართლოს გამომძიებლად დაინიშნა ამხ. ... ელენტი.

— **საქართველოს აბრეშუმის პარკი მარსელში.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა საზღვარ-

[illegible]

...—1.

ჯანსახკომში.

— **მუშათა ჯანმრთელობის შემოწმება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო ქვე განყოფი-

ლებამ გადასწყვიტა: შეამოწმოს ყველა დაზღვეული მუშა-მოსამსახურე მათი ჯანმრთელობის გამოსარკვევად.

— **სანიტარულ განათლების ოთახების და კოხების მოწყობა.** ჯანსახკომის სან განათლების საბჭო შეუდგა მასალების შეკრებას მაზრებში სანიტარულ განათლების ოთახების და კოხების გახსნისათვის.

— **ახალი ქართული და რუსული დასის მოწვევა.** სანიტარულ განათლების სახლის თეატრთან მოეწყო ქართული და რუსული დასი, რომელნიც სისტემატიურად გამართავენ სანიტარულ ხასიათის წარმოდგენებს.

— **კრედიტების გახსნა აბანოებისათვის.** ჯანსახკომისარიატის მიერ ასაშენებლად დაწყებული აბანოები ლიუქ ემბურგში, ხონში და ცხინვალში ამ დღეებში დამთავრდება.

— **ბრძოლა ეპიდემიასთან.** ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში თავი იჩინა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიამ. ჯანსახკომის მიერ მიღებულია ზომები ეპიდემიის სალიკვიდაციოთ, რისთვისაც მას უკვე გაეხსნა სათანადო კრედიტი.

— **დახმარება ქართველ ურიებს.** სანიტარულ განათლების სახლის თეატრში 15 დეკემბერს პირველად დაიდგმება ნ. ა. დიმოვის ახალი, სანათლების ხასიათის (ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ) პიესა „ზხაში", რომლის წინდა შემოსავალი მოხმარდება ურიათა ბავშვების ტანისაცმელის შესაძენად.

შემთხვევები

ქურდობა 7 დეკემბერს დღის 2

[illegible]

ვის პრ მცხ.)

შეპყრობა. 5 დეკემბერს შეპყრობილი იქნენ სედრაკ მარტიროსოვი და ნიკოლოზ არუთინოვი, რომელთაც ბრალდებათ ტფ საკომენდანტო სასამართლოდან ნივთების მოპარვა.

ხელოვნება

— **დახმარება სახალხო სახლს.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ სახალხო თეატრის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად გადასდო 3,000 მან. ჩერვონცებით.

— **ნაძალადევის თეატრი.** კვირას, დეკემბრის 17-ს ნაძალადევის თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო-წარმოდგენა სახალხო თეატრის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად. წარმოდგენის შემოსავალი გადაიდება სახალხო თეატრის სასარგებლოდ.

— **ალ. ყაზბეგის ნაწერები.** ალ. ყაზბეგის ნაწერებთა პირველი ტომი გამოვა დეკემბრის დამლევს. წიგნს დართული იქნება ვახტ. კოტეტიშვილის მიერ შედგენილი ყაზბეგის ბიოგრაფია და გერონტი ქიქოძის კრიტიკული წერილი.

— **მწერალთა კავშირის კაფე.** 1-ლ იანვრისათვის რუსთაველის პროსპექტზე გაიხსნება სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის კაფე. **დღეს თეატრებში.**

— **სახელმწიფო ოპერა.** „თავადი იგორი".

— **რუსთაველის თეატრი.** „ადამიანი მასსა".

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

სიღნაღის მაზრის საბჭოთა მეორე ყრილობა

3 დეკემბერს ქ. სიღნაღში შესდგა სიღნაღის მაზრის მუშათა და გლეხთა დეპუტატების მეორე ყრილობა. ყრილობას ხსნის სამაზკომის მდივანი ამხ. მ. ვარამაშვილი. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სამდივნოს და საპატიო თავმჯდომარეებს. ეგზავნება მისასალმებელი დეპეშები ამხ. ლენინს, ს. კ. პ. ცეკას, ამიერ-კავკასიის ცაკს, საქართველოს ცაკს და კომისართა საბჭოს. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. საერთაშორისო მდგომარეობა, 2. სამაზრო აღმასკომის მოხსენება: წარსული მუშაობის ანგარიში და მომავალი მუშაობის გეგმა. 3. საადგილ-მამულო განყოფილების მოხსენება, 4 განათლების განყოფილების მოხსენება, 5. არჩევნები და 6. მიმდინარე საკითხები.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადო სუხიშვილი, რომელიც ვრცლად ეხება საბჭოთა ფედერაციის შინაურ და გარეშე მდგომარეობას, ახასიათებს გერმანიის პროლეტარიატის დღევანდელ მოძრაობას და შემდეგ გადადის მრეწველობის ნაყოფიერებაზე როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. მხოლოდ,—ამბობს იგი,—ერთი რამ მეტად გვიშლის ხელს, ეს ის, რომ გლეხის ნაწარმოებს არა აქვს ფასი, არა აქვს ბაზარი და დღეს ამ პირობების გამოსასწორებლად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და სხვა.

სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. ჩხაიძეშვილი, თანამომხსენებლად გამოდის ამხ. მოსე ვარამაშვილი.

ყრილობა იწონებს რა აღმასკომის მუშაობას, რეზოლუციაში ამბობს სხვათა შორის შემდეგ: 9. ყრილობა უწევს რა ანგარიშს იმ გარემოებას, რომ მაზრის ნორმალურ მუშაობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზი, ამიტომ „დაუყოვნებელ" ამოცანად იქნას გამოცხადებული ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზის მოწყობა-მოწესრიგება.

10. იცავს რა ყრილობა ტყის დიდმნიშვნელოვან კულტურას და მის რაციონალურ ექსპლოატაციას, სამაზრო აღმასკომს ავალებს, რათა მოითხოვოს ცენტრიდან სრულიად უფასოდ დაეთმოს მაზრას ტყის მასალა სკოლების შესაკეთებლად და ახლის ასაშენებლად.

11. ყრილობა ავალებს აღმასკომს დაჟინებით მოითხოვოს ნებართვა ცენტრიდან მაზრაში სეფუთო გადასახადის შემოღების შესახებ, როგორც რკინის გზაზე, ისე გზატკეცილებზე და აგრეთვე დათმობას 50 პროც. იმ ერთიან გადასახადიდან, რომლის მხოლოდ 25 პროც. რჩება მაზრას.

12 ყრილობა ავალებს სამაზრო აღმასკომს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მაზრაში წყლების გამოყვანას, სარწყავი არხების გაყვანას და ჭაობების ამოშრობას, მაზრის რაიონებში 9 კლასიან სასწავლებლების გახსნას, სამაზრო საავადმყოფოს გაფართოების და მედგარ ბრძოლას მალარიის (ციებ-ცხელების) წინააღმდეგ.

14. გარდა ამისა ყრილობა ავალებს აღმასკომს მაზრის ელექტროფიკაციისათვის, სკოლების და გზების შეკეთებისათვის გააწეროს მაზრის მცხოვრებლებს ერთი მილიონი მანეთი, რომლის ნაწილიც მოხმარდეს ჩალაუბნის რკინისგზის ხაზის შეცვლას".

საადგილ-მამულო განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს განყოფილების გამგე, რომელიც ვრცლად აცნობს ყრილობას განყოფილების საქმიანობას 1921 წლიდან დღევანდლამდე.

ყრილობა დამაკმაყოფილებლად სცნობს განყოფილების მუშაობას და ამასთანავე ადგენს სასოფლო-მეურნეობის განვითარება-გაუმჯობესებისათვის გატარებულ იქნას ცხოვრებაში შემდეგი ზომები:

1. რეფორმის გატარების დროს დაშვებულ ზოგიერთი დეფექტების გამოსასწორებლად დაარსდეს კომისია, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა ამოწუროს მიწის რეფორმის გატარების საკითხი; გაფართოებულ იქნას მიწის მოწყობის საქმე მაზრაში, რასაც აფერხებდა დღემდე მიწისმზომელთა უყოლობა.

დარიგებული კულტურული მამულები მშრომელ გლეხებზე, ვისაც არ დაუმუშავებია ჯეროვნად, ან პირიქით, რაიმე ზიანი მიუყენებია, ჩამოერთვა და შეძლებისდაგვარად შეიქნას აღმასკომის ფონდი.

3. გაყვანილ იქნას თამარის არხი ალაზნის ველის მოსარწყავად და ივრის არხი შირაქის მოსარწყავად; დაიწყოს ჭაობიან ადგილების ამოშრობა; გაყვანილ იქნას წყლები: ზემო-ქედსა, ქვემო-ქედსა არხილოს კალოზე დაიმ სოფლებში, სადაც წყაროები დაშორებულია, მაგ. ზემო-მაჩხაანში, მირზაანში, ბოდბეში და სხვაგან.

4. მეურნეობის აღორძინება—წარმატებისათვის მოეწყოს საქონლის ჯიშის გაუმჯობესება სამაკებელი პუნქტების დაარსებით რაიონებში, კერძო, კოოპერატიულ და ამხანაგობათა ინიციატივით.

ამ რეზოლუციით ყრილობა სხვა მრავალ საქმესაც ავალებს აღმასკომს და საადგილ მამულო განყოფილების, რომელიც სავ ებით ვერ მოგვყავს აქ.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს განათლების განყოფილების გამგე ამ განყოფილების მუშაობასაც ყრილობა

[illegible]

სცნობს დამაკმაყოფილებლად და გამოაქვს რეზოლუცია, რომელთაც ავალებს სამაზრო აღმასკომს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახალხო განათლების საქმეს მაზრაში.

სამაზრო აღმასკომში არჩეულ იქნენ წევრებად: ჩხაიძეშვილი პ. ვარამაშვილი მ. აივაზოვი ს., ლალაზიძე დ, ბაიდოშვილია, ჰანკიევის, თავდიშვილი ს. გელაშვილი პ. ძიძაძე, მირიანაშვილი ა., კუპარიეშვილი, გიგიჭკორი ვ., გონაშვილი დ., ივანოვი დ, აირაპეტოვი ნ., კანდიდატებად: ჯალალანია ლ., ნაცვლიშვილი ს. სერებრიაკოვი ი. ჩხეიძე მ, პეტრენკო მ. გაბუნია გ, კახიტელიძე, ჩერქეზიშვილი, იაშვილი მ, ჩიტაია ფ.

საქართველოს ყრილობის დელეგატებად: ვარამაშვილი მ, ჩხაიძეშვილი პ, კუპარიეშვილი გ. ლალაზიძე დ, აივაზოვი ს. მარჩალაძე ი. დარჩიაშვილი ს, კოტაშვილი გაბრო, პეტრენკო მ, ჩხეიძე მ, ფრეიძე ი, ადამიძე თ, კიკნაძე ნ. („კომუნისტი"-ს რედაქტორი) მირიანაშვილი გ.

კანდიდატებად: ბარწრანაშვილი ვ, კუპრიაშვილი, ჯალალანია ლ, კახიტელიძე, და გონაშვილი დ.

დასასრულ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვარამაშვილი მოუწოდებს ყველას და მათ შორის ინტელიგენციას, რომ მიატოვონ თავიანთი გულგრილი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ჩადგნენ საერთო კულტურულ და აღმშენებლობით ფერხულში და მით გამოისყიდონ წარსული დანაშაული მშრომელი ხალხის წინაშე.

ყრილობა იხურება „ინტერნაციონალის" სიმღერით.

[illegible]

[illegible]

ბა მდინარეში გასვლა და ხალხი გულხელდაკრეფილი შესცქერის მდინარის დაკლებას, რომ ბაზარში — გორში წავიდეს, თავისი ნაწარმოები გაასაღოს და ოჯახისთვის საჭირო საგნები შეიძინოს. რაღა თქმა უნდა, ბევრჯელ მსხვერპლიც მოსდევს წყალში გასვლას. ხშირად ურემი ბრუნდება და ხალხი იხრჩობა ხოლმე. ცხენით და ფეხით გასვლის დროს ხომ უფრო ხშირია დახრჩობა.

თავის თავად ცხადია, რომ ამ დიდ მანძილზე ცხინვალიდან გორამდე დიდ ლიახვის მარჯვენა მხარის მოფლეობისათვის ხიდის უქონლობა ენით აუწერელ უბედურებას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ეს სოფლები მთელ ქართლში ყველაზე უფრო შემკულია ბუნებით, მოსავლიანი და მჭიდროთ დასახლებულია. აყვავებული ხილი მოდის. მეხილეობამ აქ სამრეწველო ხასიათი მიიღო ამ ბოლო წლებში, ხოლო უგზოობა-უხიდობის გამო ვერ გააქვთ თავის დროზე ბაზარზე და ევროპიული ჯიშის ვაშლი ულპებათ, რისთვისაც ან ღორებს აჭმევენ და ან ყრიან ხდიან.

ქართლის ეკონომიურ ცხოვრების ისტორიისთვის საჭირო მოხსენებულ იქნეს ერთი ძველი უკუღმართობა. ამ ოცი წლის წინეთ, როცა გორში მტკვარზე ბეტონის ხიდი გააკეთეს, იქ, ახალი ხიდის გვერდზე იდგა ძველი რკინის ხიდი. აი, ამ რკინის ხიდის შესახებ შეიქნა ბჭობა-თათბირი მთავრობის წრეებში და ადგილობრივ მოღვაწეთა შორის, თუ სად, რომელ მდინარეზე უფრო საჭირო იყო მისი გადატანა და დადგმა. დიდი უმრავლესობა მოღვაწეებისა და მთავრობის მოხელეებისაც პირველად იმ აზრის იყვნენ, რომ ხიდი გადაეტანათ დიდ ლიახვზე, რაც, იმას გარდა, რომ ეს დიდათ სასარგებლო იქნებოდა ლიახვის მარჯვენა მხარეს გაშენებულ 60-ზე მეტ სოფლისათვის, ხაზინასაც დიდ ეკონომიას მისცემდა. გორიდან ცხინვალში მიმავალი საფოსტო გზა დიდ ლიახვის მარცხენა მხარეს 30 ვერსია, ხოლო თუ დიდ ლიახვზე ხიდი გაკეთდებოდა, მაშინ ფოსტაც აქეთ ივლიდა, რადგანაც სულ პირდაპირი მიმართულება აქვს ცხინვალისკენ, მოუხდებოდა 20 ვერსის გავლა, ე. ი. გზა შემოკლდებოდა 10 ვერსით, რაც

[illegible]

ჟურნალ-გაზეთები თაეის დროზე მიეღოთ ხოლმე. აი, ამ ბობოლეებმა გავლენა იქონიეს მთავრობასთან და მის ნებართვით ხსენებული რკინის ხიდი გადიტანეს მდინარე პატარა ლიახვზე, რომელიც ს. შერთულთან ერთვის დიდ ლიახვს. მდ. პატარა ლიახვი, როგორც თვით სახელიც მოწმობს, უმნიშვნელო მდინარეა, ზაფხულში სულ მთლათ შრება, ხოლო გაზაფხულზე რაც უნდა ძლიერ ადიდდეს, მასში გასვლა ურმით, ეტლით, ცხენით თუ ფეხით არავისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს. სულ სხვაა დიდი ლიახვი. აქ გავლის დროს ბევრი უბედურება ხდება ხოლმე, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ. ამნაირათ, მემამულე თავადებმა და ბიუროკრატებმა თავის პირად ანგარიშებს ანაცვალეს ხალხის ინტერესი.

რადგანაც ხიდის გაკეთება დიდ ლიახვზე უპირველესი საჭიროებაა შუაგულ ქართლისთვის, ამიტომ ეს ხიდი უეჭველათ დაკვრითი წესით საჩქაროთ უნდა გაკეთდეს. ხალხი თანახმაა, რითაც კი შეეძლება დაეხმაროს ამ საქმის მალე სისრულეში მოყვანას. ქვა და ქვიშა იქვეა, ხალხი თვით იმუშავებს, გამოიყვანს ურმებს, რამდენიც საჭიროა, კალატოზებიც და დურგლებიც სოფლათ მლომათ გვყავს. საჭიროა მთავრობის დახმარება ინჟინრის გაგზავნით და საჭირო ცემენტის გაღებით ბურჯების ამოსაყვანათ.

იმედია, ჩვენი მთავრობა ამ საქმეს დიდი თანაგრძნობით შეხვდება, რითაც, თუ ეს საქმე მალე მოგვარდა, დიდათ გაიზრდება ხალხის თვალში მისი ავტორიტეტი.

სხვა საჭიროებანიც სოფლისა ბევრია, მაგალითად, სულ ადვილათ შეიძლება ლიახვის ნაპირას მდებარე სოფლებში მოეწყოს ელექტრონის სადგურები, მუქთი მამოძრავებელი ძალის წყალობით. საჭიროა მხოლოთ დადგმა სადგურისა და ამის შესაფერი ერთდროული ხარჯის გაღება, ხოლო შემდეგ სადგურს თითქმის არაფერი ხარჯი არ ექნება.

ამნაირი სადგურის გაკეთება განზრახულია ს. შინდისში, რის შესახებ მოლაპარაკება უკვე სწარმოებს ერთ ერთ ფირმასთან.

პირველად კი უეჭველათ ხიდი უნდა გაკეთდეს.

სერგო წერეთელი.

ტონეთის თემის სამკითხველოსათვის

თანახმად სოლ. ყუბანეიშვილის გამოწვევისა, ვწირავ ტონეთის თემის სამკითხველოს ნახევ. ოსმალ. ურ ლირას და ჩემ მხრივ, არა ნაკლებ ამავე თანხის რაოდენობისა, ვიწვევ შემდეგ პირებს: სამტრედიის ტექნიკუმიდან: ამბროსი გოგოძეს, ალ. შილორავას, ანდრო მამფორიას, ვ. თარხნიშვილს; ქუთაისის ტექნიკუმიდან: ივანე კიკალიძეს, დიმიტრი შარაშენიძეს, გრიგოლ ბახტაძეს, ვალიკო შარაშენიძეს, მიხ. სანიკიძეს, ემელიანე გომბერაძეს, იროდი გომბერაძეს; ტფილისიდან: კოტე სულაბერიძეს, ნიკ. ყუბანეიშვილს, აკაკი სირბილაძეს, იოსებ ტაბიძეს, გრიგოლ რაფ. ნაფეტვარიძეს, ბ. ტაბიძეს, ბიძინა შარაშენიძეს, სერგო ბესარ. შარაშენიძეს და ამბროსი შარაშენიძეს (ბათომიდან). ვინც ამ გამოწვევას არ გამოეხმაურება გამოცხადდება პრესაში.

მიხ. ყუბანეიშვილი.

თანახმად სოლ. ყუბანეიშვილის გამოწვევისა, შემაქვს აღმასკომის სალაროში ჩვენი სამკითხველოს სასარგებლოთ ნახევარი ოსმალური ლირა. ჩემ მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კ. ბახტაძეს (მასწ), მ. გეგიშიძეს (მასწ.) ს. კიკაბიძეს, ნ. ტყეშელაშვილს, ნ. სულაბერიძეს, პ. ტყეშელაშვილს, ფ. მომფორიას და გ. მელაშვილს.

ტონეთის თემის აღმასკომის მდივანი **ივანე ვ. ახობაძე.**

—

ჩვენი სამკითხველოს სასარგებლოდ ვწირავ ნახევარ ოსმალურ ლირას და ჩემ მხრივ ვიწვევ: რ. ჯოგლიძეს (მილიციონერი), ბიქტორ კორძაძეს და პ. კორძაძეს.

ტონეთის თემის მილიციონერი: **მიხ. გითრგაძე.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 76

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. ნოემბრის 18-ს

წითელ-არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციის წესით დათხოვნილთათვის შეღავათების მიცემის შესახებ.

წითელ-არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციის წესით, სამსახურის ვადის შესრულების ან ავადმყოფობის გამო უვადო შვებულებაში დათხოვნილ, როგორც წითელ არმიელებს ისე უფროსთა შემადგენლობის უფროს და უნცროს პირთათვის შეღავათების მიცემის წესის სწორ რეგლამენტაციის მიზნით, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა:

1. შრომის ბირჟაში აღრიცხული დემობილიზაციის წესით დათხოვნილნი სამუშაოზე გაიგზავნებიან რიგს გარეშე ყველა იმათზე წინ, რომლებიც არიან შრომის მაძიებლები და არ არიან პროფკავშირის წევრები. პროფკავშირების წევრთებთან შედარებით დემობილიზაციის წესით დათხოვნილი, იმის და მიუხედავათ არიან თუ არა პროფკავშირების წევრები, სამუშაოზე გაიგზავნებიან პროფკავშირების წევრების თანაბრად, იმის და მიუხედავათ თუ რომელი აღირიცხა უფრო ადრე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აღნიშნული არიან ამა დადგენილების მე-2 ე მუხლში.

2. დემობილიზაციის წესით დათხოვნილთ მიეცეს უფლება დროებით სამუშაოზე გაგზავნის, მაგრამ არა უმეტეს 2 კვირისა და აგრეთვე უმუშევართა საჩაიებით, სასადილოებით და სხ. პირველ რიგში სარგებლობის უპირატესობა პროფკავშირების წევრების წინაშე.

3. მილიციის შედგენის დროს, ვინაიდან უფრო მიზანშეწონილია უკანასკნელი შევსებულ იქნეს ისეთ პირებით, რომელთაც აქვთ საჭიდრო მომზადება, შრომის ბირჟათ ევალებათ მილიციონერების თანამდებობაზე პირველ რიგში გააგზავნონ შრომის ბირჟის აღრიცხვაში მყოფნი დემობილიზაციის წესით ან უვადო შვებულებაში დათხოვნილნი.

4. იმ დაწესებულებებში, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის 23 წ. მოამბე № 3—4 ში მოთავსებულ ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება 39 ს 24 მუხლში (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახ. კომ. საბჭო, საგანგებო კომისია, სამხედრო და საზღ. საქმეთა სახ. კომისარიატი, საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატი, ა.-კ. სარაიონო კომიტეტი, მუშათა გლეხ. ინსპექცია, სახ. კომისარიატი და მათი ადგილობრივი ორგანოები, თანახმად 24 მუხ. შენიშვნისა იმ თანამდებობაზე რომელიც დაკავებულ უნდა იქნას შრომის ბირჟიდან გამოგზავნილ პირებით) გაიგზავნებიან უმეტესად დემობილიზაციის წესით დათხოვნილი ყველა უმუშევრების და მათ რიცხვში პროფკავშირების წევრების წინაშე.

5. უმუშევართათვის შრომის დახმარების აღმოჩენის მიზნით შრომის არტელების და საზოგ. სამუშაოების მოწყობის დროს შრომის ბირჟები დემობილიზაციის წესით და უვადო შვებულებაში დათხოვნილთ აძლევენ ამა არტელებში შესვლის უპირატესობითი უფლებას პროფკავშირებს წევრ უმუშევართა წინაშე.

6. სასწრაფო ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (სასოფლო მეურნეობა, რკინისგზის გაწმენდა, შარა გზის შეკეთება, კანალიზაცია) უმუშევრებიდან კოლექტივის მოწყობის დროს, დემობილიზაციის წესით და უვადო შვებულებაში დათხოვნილები ამა არტელებში შესვლისათვის სარგებლობენ უპირატესობით უმუშევრების და მათ რიცხვში პროფკავშირის წევრების წინაშე.

7. შრომის ბირჟაში აღრიცხულნი დემობილიზაციის წესით და ავადმყოფობისან სამსახურის ვადის გათავების გამო წითელ არმიიდან და ფლოტიდან დათხოვნილნი, რომელთაც უშუალოდ დაქირავებით უმუშავნიათ მობილიზაციის ან სამხედრო სამსახურში გაწვევამდე, მიუხედავათ დაქირავებით მუშაობის სტაჟისა თანახმად 1923 წ. ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის მოამბე № 5-ში მოთავსებულ ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. 11 ივნისის თარიღით გამოქვეყნებული ინსტრუქცია № 247—49-სა, სარგებლობენ უმუშევრობის გამო დახმარების მიღების უფლებით.

8 უმუშევართა საერთო საცხოვრებელ ბინებით და სასადილოებით სარგებლობისათვის შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფ დემობილიზაციის წესით და უვადო შვებულებაში დათხოვნილთ ეძლევათ უპირატესობითი უფლება ყველა უმუშევრების და მათ რიცხვში კავშირების წევრების წინაშე.

9. ზემო აღნიშნული ყველა შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ დემობილიზაციის წესით და (ავადმყოფობის და სამსახურის ვადის გათავების გამო) უვადო შვებულებაში დათხოვნილნი, რომლებიც აღირიცხენ შრომის ბირჟაში არა უგვიანეს ოთხი კვირისა, რომელიც თან მოსდევს უშუალო დემობილიზაციას, მათი ადგილობრივ სამხედრო კომისარიატის აღრიცხვაზე მიღების დღიდან.

შენიშვნა: ის დემობილიზაციით დათხოვნილი, რომელიც ერჯერ ისარგებლებს დემობილიზაციით დათხოვნილის სამუშაოზე შესვლის უფლებას, შრომის ბირჟაში მეორეჯერ მომართვის დროს, სამუშაოზე გაიგზავნება საერთო საფუძვლის მიხედვით.

10. ამა დადგენილების გამოქვეყნებით უქმდება 1922 წ. 14 ოქტომბრის თარიღით გამოქვეყნებული და 1923 წ. ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის მოამბე № 1—2-ში მოთავსებული ა.-კ. შრომის სახ კომისარიატის დადგენილება № 19.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა და მოქმედობს 1924 წ. 1-ლ ,ივლისამდე.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარის მოადგილე **ა. იაშვილი.**

შეთანხმებულია: ა.-კავკ. ბიუროს თავმჯდომარე **გინზბურგი.**

ა.-კ. შრომის სახ. კომ. საერთ. საორ. განყ. გამგე **ორლოვ-მალახოვი.**

პარტიული და საგჭიდთა კალენდარი

პარტიული

— მიღებული ცნობებით, რ. კ. პარტ. (ბოლშ.) ტფილისის პარტ. ორგანიზაციის წევრების მიერ წარმოდგენილ ღირებულებათა განაღდებისაგან შემოსული 3500 ჩერვონეცი, რომელიც რ. კ. პ. (ბოლ.) ტფილისის ორგანიზაციამ მოსკოვში გაგზავნა, უკვე გადაცემული აქვს პროფინტერნს, გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად.

ტფ. კომიტეტის მდივანი **რ უ ბ ე ნ ი.**

საქართველოს კომუნისტური პარტია. ტფილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილების თანახმად, ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, წითელ დარბაზში დანიშნულია **თათბირი პასუხისმგებელ მუშაკებისა**

ამხ. ორჯონიკიძე წაიკითხავს მოხსენებას „მაკრატელზე".

ტფ. კომიტეტის საქმეთა მმართველი **ბ უ ლ ფ ე ი ნ ი.**

საქართველოს კომ. პარტ. ტფ. კომიტეტის სხდომა რომელიც დანიშნული იყო 10 დეკემბერს, გადადებულია დღევანდლამდე, საღამოს 6 სათზე.

ტფ. კომიტეტის საქმეთა მმართველი **ბ უ ლ ფ ე ი ნ ი.**

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში

— ოთხშაბათს 12 დეკემბერს საღამოს 7 საათზე თვითმართველობის ქ. | სექციაში ამხ. პროცენკოს მოხსენება: „საბავშო ორგანიზაციები (თვითმართველობა)".

— ხუთშაბათს 13 დეკემბერს საღამოს 6 საათ. დანიშნულია სკოლასთან არსებულ საბავშო ბაღის მასწავლებელთა კრება. კრების საგანია: „მოწყობა ცოცხალი კუთხის საბავშო ბაღში".

— პარასკევს 14 დეკემბერს არა რუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა წრებში:

1) ადგილებიდან ცნობები სწავლების შესახებ.
2) მომავალი მუშაობის გეგმის შემუშავება.

სახლის გამგე **შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი.**

კავშირის საქმეთა მმართველი **ბ ა რ ა მ ი ძ ე.**

განცხადებები

დამწუხრებული დები: ოლინკა პაპუნაშვილისა, ნატალია კვ ქანტარაძისა, სიძეები იორდანე კეკვაძე, იოსებ ურუშაძე, მაშიკო კვაჭანტირაძე, იორდანე გოგეშვილი; დისწულები, სევერიანე მახარაძე, პარმენ კიკვაძე, სიმსონ პაპუნაშვილი, ივანე გოგეშვილი, ტიტიკო პაპუნაშვილი, ელენა მიქპარიანისა, მიხაკო ურუშაძე, ილარიონ კიკვაძე, რძლები: ანეტა, მარო, სოდა და ალექსანდრა, სიძე კოლია შეფარიანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი ძვირფასი პირველთათვის ძმის მეორეთათვის ცოლის ძმის და უკანასკნელთათვის ბიძის

ნესტორ საყვარელისძე ჟორდანიასი

უდროვოდ დაკარგვას

რომლის დაკრძალვა მოხდება 11 დეკემბერს, შუადღის 3 საათზე ნიკოლოზის ეკლესიაზე.

გამოსვენება საკუთარი ბინიდან, მალაქნის ქ. № 20 მე-10 უბანი.

ვახტანგ, კოკი, და თინა ჟორდანიები, ნატალია და სტრატონ თოთიბაძე, ანიჩკა და ვენედიქტე ჟორდანია და ირინე და ბიძინა გელოვანი აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს რომ 8 დეკემბერს ღამით უეცრად გარდაიცვალა მათი საყვარელი ბიძა.

ნესტორ ჟორდანია

გამოსვენება დღეს 11 დეკემბერს განსვენებულის ბინიდგან მალაკანის ქ. № 20 ნაშუადღევის 3 საათს ნიკოლოზის ეკლესიაზე.

დიდათ დამწუხრებულნი შალვა ვასილის ძე ზანდუკელი და ნიკოლოზ ფარეშიშვილნი, რომელთაც საშუალება არ უკანასკნელი პატივი ეცათ ...

ილია (ჭიჭიკო) ...

ტყეშელაშვილისათ

უცხადებენ ნაზობილთ თანაგრძნობას.

ჩვენი მისადმი სიყვარულის აღსანიშნავათ ქალაქ თელავშ ... ხადით პანაშვიდი

თეატრი და ცხოვრება

(თეატრი. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკობა და სხ.)

იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით და დამსახურებულ მწერალთა მონაწილეობით გამოვა ა. წ. დეკემბრის 9 ნ ყოველკვირეულად.

ფასი 15 კაპ. ჩერვ.

მეგაზეთეებმა მიმართონ ბეჭ. სიტყვის ექსპედიციას, მყიდველებმა—მეგაზეთეებს, რკინისგზებზე—კიოსკებს.

გამომცემელი: ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ა ხ ა ლ ი წ რ ე".

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 დეკემბერს

მეფის საცოლე

ნის. 786—2-2

რუსთაველის თეატრი

ქართ. აკად. დრამა

დღეს, 11 დეკემბერს

ერ. ტოლლერ

ადამიანი-მასსა

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს

ოტელო

ნის. 772—3—1

ტფილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი ამით აცხადებს, რომ ა. წ. 14 დეკემბერს დღის 12 საათზე ტფილისის აღმასკომის ბაზში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ამავე რაზმის თანამშრომელთათვის 112 ცალი საზამთრო შარვლის ... ცალი საზამთრო ტუჟურკის დამზადებაზე.

პირობების გაგება შეიძლება რაზმის კანცელარიაში, აღმასკომის შენობა, ოთახი № 47 9—3 საათამდე.

ტფილისის ბრანდმაიორის მაგიერი **ზავერდიაევი.** კრ. 77

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

სავალდებულო დადგენილება №

1923 წ. დეკემბრის 6.

თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1923 წ. ოქტომბრის 10-ის თარიღით და № 31-ით, ს. ს. ს. რ. ტყავის ... ლობის მრეწველობის აღორძინების და ნედლი ტყავეულის სისწორით რიცხვის და განაწილების მიზნით, და აგრეთვე ნედლ ტყავის ბაზრის საწესრიგებლად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაადგინეს:

1. საქ. ს. ს. რ. ფარგლებში სასაკლაოებში დაკლულ ოთხფეხ ... ლის ტყავების მთელი რაოდენობა პირველ რიგში გადაიდება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის განყოფილებისათვის, რომელიც ყიდულობს ამ ტყავებს ნაღდ ფულზე, ყიდვის დროს, თვითეულ ად... თვის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ დ... ბულ მაქსიმალურ ფასების მიხედვით.

შენიშვნა: ა) ნედლ ტყავეულის ფასებს მთელ რესპუბლიკის ... ლებში აწესებს საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან ს. მ. უ. ს. ტყავეულობის განყოფილების ეკონომიურ სამმართველოს, ცენტრალურ საფაჭრო ს... თველოს და სავაჭრო საფონდო ბირჟის თითო წარმომადგენელი. ბ) ... ტყავეულის ფასს, საქონლის დაკვლის დღეს, იხდიან ს. მ. უ. ს. აგენ... რომელნიც სინჯავენ ტყავებს და იძენენ მათ ნაღდ ფულზე.

2. ნედლ ტყავების შესყიდვას აწარმოებენ ამ საქმეზე დაყენებული ს. მ. უ. ს. რწმუნებულნი ან ადგილობრივი ორგანიზაციები.

3. იმ შემთხვევაში, თუ ს. მ. უ. ს. ტყავეულობის განყოფილებამ ... ველ დღესვე ვერ შეიძინა ტყავის მთელი რაოდენობა ან ნაწილი, ... ნილი ტყავის მთელი რაოდენობა თავისუფალ ბაზარზე იყიდება, საქ. ... უ. ს. მიერ დაწესებულ ფასებში.

4. ნედლ ტყავის სწორი აღრიცხვის განხორციელების და აგრ... ბაზრის მოწესრიგების მიზნით, ამ საგანზე დავალებულ ს. მ. უ. ს. ... ნებულთ უფლება ენიჭებათ ზედამხედველობა გაუწიონ თავისუფალ ბ... ზე ნედლ ტყავეულობით ვაჭრობას.

5. სახელმწიფო ტყავეულობის ქარხნების ნედლი ტყავეულით უზ... ველსაყოფად, ნედლ ტყავეულის შესყიდვა და საქ. ს. ს. რ. საზღვრ... გაზიდვა სწარმოებს განსაკუთრებით საქ. სახალხო მეურნეობის უმ... საბჭოს ნებართვით, როგორც ეს უკვე იყო გამოცხადებული ს. ... გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკასიის რწმუნებ... განკარგულებაში № 13 ოქტომბრის 24 თარიღით.

6. ყველა პირნი და დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფო ... ზოგადოებრივი, ისე კერძონი, რომელნიც წინასწარ განსაზღვრით, ... არღვევენ ამ დადგენილებას, პასუხისგებაში მიეცემიან ს. ს. ს. რ. სის... სამართლის კოდექსის 145 მუხლის წესით.

7. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება საქართვე... სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

8 ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტები ... ხალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყოველმხრივ დახმარებას უწევე... დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნები...

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე: **ავაქოვი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე.**

ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველის მოადგილე: **იაშვილი.**

768—3—3

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით ბინაზე დარჩენით

მიხეილ გედევანიშვილის ხანგრძლივი ...

წარმოებს და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ ... მკურნალობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ ოდიშელიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ... ქ. № 20.

(126—25—25)

დაკარგე ნორიოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზაქარია გრი... ლის ძე ჩიტიშვილმა პარტიული მანდატი № 689 ... სხვადასხვა პირადობის მოწმობები. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 262 ...